წელიწადი მესამე | ფასი 10 კაპ. | ხუთშაბათი, 1917 წ. მაისის 25 (7)

# საქართველო

ხელის მოწერა და ცალ-ცალკე განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] სტრიქონზე პეტიტით [illegible] 20 კ.; [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით 15×3 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 10 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ძვირ. მეტი. დამატებითი № ღირს ცალკე 10 კაპ.

№ 110 | ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა | № 110

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

ივნისის 4, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

ყრილობის წეს-რიგი.

I. საპროგრამო საკითხები:

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

II. სატაქტიკო საკითხები:

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ტ. საქართველოს სპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

III. საორგანიზაციო საკითხები:

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საორგანიზაციო ბიურო

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, მაისის 25, 1917 წ. ავლაბრის მე-V სავაჟო გიმნაზიის შენობაში დანიშნულია მე-VI და მე-VII უბნებში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა

კ რ ე ბ ა.

კრებას მოხსენდება პარტიის პროგრამა და საორგანიზაციო საკითხები.
დასაწყისი კრებისა საღამოს სრულ 7 საათზე.
(შესავალი ეზოდან) 2—701—2

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მე-X—XII (მეათე და მეთორმეტე) უბნების კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, მაისის 25, ნაშუადღევის 5 საათზე

## ახალ საკრებულოში

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

დანიშნულია პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს ორი წარმომადგენელი კონფერენციაზე დასასწრებლად. სასურველია კრებას დაესწრონ აგრეთვე მანდილოსნები.

2—702—2

## კვირას, 28 მაისს 1917 წელს

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების სასარგებლოდ სასახლის ბაღში გაიმართება

## დიდი სახალხო სეირნობა

ლატარია-ალეგრი

წმინდა შემოსავლის 10% გადაიდება ომისაგან დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ.

გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, დედოფალა, ყვავილები, ფოსტა, რგოლების სროლა, ბედნიერების ბოჩკა, ტუმბო, საპავშვო გასართობები, კიოსკები და სხვა.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

დასაწყისი დღის 12 საათზე

შესასვლელი ფასი დიდებისათვის 60 კ. მოწაფეთა და პატარებისათვის 35 კ.

2—703—1

## ქართველ სამღვდელოების მუზეუმის გამგე კომიტეტი

აცხადებს, რომ შენობა სიონის ტაძრის გალავანში,

## რომელშიაც მოთავსებული იყო საეკლესიო მუზეუმი

უნდა გაიყიდოს, როგორც მასალა, საჯარო ვაჭრობით.

ვისაც ჰსურს შეიძინოს შენობა, უნდა წარუდგინოს დაბეჭდილის კონვერტით პირობა, თუ რამდენს იძლევა სასყიდელსა, კომიტეტის მდივანს დეკანოზს კ. ცინცაძეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. კონვერტებს გახსნიან 1917 წლის ივნისის პირველსა.

2—659—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე მიხეილის ასული, ძმა ზაქარია დავითის ძე, რძალი ეკატერინე სვიმონის ასული, შვილები ივანე, სოფიო, დარია და ფეფუცა, სიძეები დავით ივანეს ძე და ლევან სიმონის ძე მაღალაშვილები და ალექსანდრე ქვლივიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

## რომანოზ დავითის ძ ს შატბერაშვილის

გარდაცვალებას. გარდაიცვალა მაისის 22-ს. დაკრძალვა მოხდება სოფ. კავთისხევში მაისის 25-ს, საგვარეულო საყდარში.

1—658—1

მზათაა გასასყიდათ ახალი რუსული წიგნი

## კ. ზ. კაკანელის „ტანჯვა და შემოქმედება"

წიგნი შეიცავს დაახლოვებით 200 გვ. ავტორის სურათით და წინასიტყვაობით, 10×6,—ღირს 2 მან. 50 კ. გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Головинскій пр. 18. Э. А. Брикертъ.

იქვე იყიდება ცალკე ეგზემპლიარი. ნისიათ და ფასდადებით წიგნი არავის გაეგზავნება. ხელის მომწერლებს ვთხოვთ გამოგზავნონ კვიტანციები ქ. შ. წ. გ. ს. წ. მაღაზიაში ან მთავარ საწყობში და მიიღონ წიგნები.

(4—651—2)

### თბილისი, მაისის 25.

## ჭიათურის მამულები

ჭიათურის გერმანელთა წარმოებების გამოსყიდვის საქმეს ქართულმა საზოგადოებამ თავიდანვე საკმაო გულისყური მიაპყრო. ვაჭარ-მრეწველთა წრეებმა, ჭიათურის საბჭომ, ჩვენმა პრესამ და თავად-აზნაურობამაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ მამულების სალიკვიდაციო საქმეში. ჩვენს მხარეზე იყო ქვეყნის საჭიროებები, სამართლიანობა და თვით სახელმწიფოს ინტერესებიც კი, მაგრამ ყოველივე ეს არ იყო საკმაო ძველი წყობილების დროს და, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, არ არის საკმარისი დღესაც.

მოწინააღმდეგე ჯგუფი—სხვა და სხვა ბანკები და სომხის კაპიტალისტები ენერგიულად მოქმედებდენ. მათ ერთად ერთი უპირატესობა ჰქონდათ სქელი ქისა და ეჭვი არ არის, ძველი წყობილება რომ არ დამხობილიყო, ეს ძალა თავისას იოლად გაიტანდა. მაგრამ რუსეთში თავისუფლება დამყარდა და ხალხის ნებას, ხალხის სურვილს ფართე ასპარეზი მიეცა. აბა, ვინ იფიქრებს, თუ ეხლანდელ დროშიც შესაძლებელია დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმის გადაჭრა იმავე წესით და იმავე გზით, როგორც წინედ. ჭიათურის გერმანელ წარმოებათა ლიკვიდაცია სწორედ ეხლა დასრულდა და დასრულდა არა ისე, როგორც ამას მოითხოვდა ადგილობრივი ხალხის ინტერესები, არამედ ისე, როგორც ეს სურდა ამა თუ იმ ბანკს და კერძო კაპიტალისტს. შავი ქვის მრეწველთა საბჭო მოითხოვდა ამ მამულების მისთვის გადაცემას შეფასების კვალობაზე. ამასვე თხოულობდა ქართველი თავად-აზნაურობა. ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ამისთვის გვერდი აუხვევია და დაუკმაყოფილებია მოწინააღმდეგე ჯგუფის სურვილები. სამინისტრო ამ მამულებს სახაზინოთ გამოაცხადებს, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმისთვის. ნამდვილად კი ის დაარსებს აქციონერულ საზოგადოებას (თუ ის უკვე ეხლაც დაარსებული არაა ბანკების სახით?), თვით დაიტოვებს აქციების 10—15% და დანარჩენს კი ბანკებსა და კერძო პირებს მისცემს, ასე გადაუწყვეტია ჭიათურის მამულების საქმე ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს. თუ ეს განხორციელდა, ბანკებისა და სომეხ კაპიტალისტების ცდა-მაცადინობა სავსებით მიზან მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. მათ ხელში იქნება ამ ახალი აქციონერული საზოგადოების ქაღალდების 80—90% და ჭიათურის წარმოებათა სრული მართვა-გამგეობა.

არა მხოლოდ თავმოყვარეობა ჩვენი საზოგადოებისა, არამედ მისი არსებითი ინტერესები მოითხოვს ამ საქმისთვის ახალს ცდას და შრომას. ჭიათურის წარმოებებს ჩვენი ქვეყნისთვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ამის აბუჩად აგდება არ ეპატიება საზოგადოებას, რაც უნდა დიდი პოლიტიკური საკითხები ჰქონდეს მას გადასაჭრელი. ეხლა რევოლუციის დროში ვცხოვრობთ და თავისუფლების დიდს საკითხებს ვწყვეტთ, მაგრამ პური უპირველესი საფუძველია ხალხის თავისუფლებისა და ჩვენ დიდს შეცდომას ჩავიდენთ თუ ერთი წუთითაც დავივიწყებთ ჩვენი ქვეყნის ასეთს ეკონომიურს საჭიროებებს.

ჭიათურის მამულების საქმეს პეტროგრადიდან აცნობებენ ჭიათურის მრეწველთა საბჭოს და ურჩევენ მას შუამდგომლობის განახლებას, ეხლა უკვე მთავრობის წინაშე და არა ვაჭრობის სამინისტროში. თუ ჩვენ საზოგადოებას თავისი ინტერესების შეგნება და გათვალისწინების უნარი არ დაჰკარგვია, ის ამ საკითხს არ მიჩქმალავს. სპეკულიანტებმა თავისი გაიტანეს, სანამ ეს საქმე საიდუმლოდ სწყდებოდა კაბინეტებში. დღეს ეს საკითხი ფართე საზოგადოების მზრუნველობის საგნად უნდა გახდეს, ვინაიდან მას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. თუ ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ცხოვრების მეთაურნი მას ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევენ, ვერავითარი სამინისტრო ვერ მოგვახვევს მადა გახსნილ სპეკულიანტების სურვილებს.

ამ საქმის მივიწყება არ გვეპატიება.

## საერთაშორისო მდგომარეობა

რუსის დემოკრატიის ბრძოლამ უაანექსიო და უკონტრიბუციო ზავისთვის ჯერ-ჯერობით მხოლოდ თვით რუსეთში გამოიღო თვალსაჩინო ნაყოფი. იმპერიალისტური პოლიტიკის მთავარმა წარმომადგენელმა მილიუკოვმა საგარეო მინისტრის პორტფელი დასთმო, რათა კადეტთა პარტიის ყრილობაზე გულახდილად ეთქვა ის, რის თქმასაც ველარ ბედავდა დროებით მთავრობაში ყოფნის დროს: სრუტეების ხელში ჩაგდება ჩვენი ქვეყნის არსებითი მოთხოვნილებაა და შემიძლია ამაყად განვაცხადო, რომ უკანასკნელ დღემდე მოკავშირეებისთვის საბაბი არ მიმიცია ეფიქრათ, თითქო რუსეთმა უარი სთქვა ამ მოთხოვნილებაზეო".

ახლა, მილიუკოვისა და გუჩკოვის წასვლის შემდეგ, უეჭველია რომ რუსეთი ხელს იღებს სრუტეებსა და კონსტანტინეპოლზე. რუსეთის საგარეო სამინისტროს მეთაურობს ადამიანი, რომელმაც იურიდიული განათლება საქსონიის საუნივერსიტეტო ქალაქს ლეიპციგში მიიღო და კარგად უნდა იცნობდეს გერმანულ ენასაც და გერმანულ ფსიხოლოგიასაც, მაგრამ ჯერ კიდევ ვერც მას მოუნახავს საერთო ნიადაგი სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყებად. დღეს, როცა მთლიანი ეროვნული ნებისყოფა მთლიან ეროვნულ ნებისყოფას ეხეთქება, მინისტრების გამოცვლას აგრე რიგად დიდი მნიშვნელობა როდი აქვს საგარეო პოლიტიკაში: მსოფლიო ომი შესწყდება არა დიპლომატიური ხლართებისა ან რომანტიული სურვილებისა, არამედ ნათლად გარკვეული რეალური ძალების მიხედვით.

ძალთა განწყობილება კი ბოლო დროს აშკარად შეიცვალა გერმანიის სასარგებლოდ. რუსის ჯარმა შეტევა შეაჩერა ნებსით თუ უნებლიეთ და გერმანიამ თითქმის მთელი თავისი ლაშქარი საფრანგეთის ასპარეზზე გადასხა. სტრატეგიული მდგომარეობის გაუმჯობესება ნათლად გამოიხატა ბეტმან-ჰოლვეგის უკანასკნელს დიდს პოლიტიკურს სიტყვაში, სადაც იმპერიის კანცლერმა საჯაროდ აღნიშნა, რომ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდება შეუძლებელია და გერმანია საწინდარს მოითხოვს მომავლისათვის. საყურადღებოა, რომ ამ სიტყვას არავითარი აღშფოთება ან გულის წყრომა არ გამოუწვევია გერმანელ დემოკრატიაში: სოციალ-დემოკრატიის უდიდესი ნაწილი, რომელიც შეიდემანის მეთაურობით, ეგრეთ წოდებულ სოციალ-პატრიოტიულ პოლიტიკას აწარმოებს, როგორც ჩანს ეთანხმება იმპერიის კანცლერს.

თუ ბეტმან-ჰოლვეგი ბოლო დროს უფრო კადნიერი გახდა, სამაგიეროთ რიბოსა და ლლოიდ ჯორჯს გაუნელდათ წინანდელი იმპერიალისტური აღფრთოვანება. დეკემბრის ნოტაში, რომელიც შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი იყო მიმართული, ოთხთა შეთანხმების დიპლომატიამ აღნიშნა, რომ ომის მიზანს ავსტრია ჰუნგრეთისა და ოსმალეთის სრული დაშლა, ელზას-ლორენისა და პოზნანის დაბრუნება და გერმანიის სამხედრო ძლიერების შებოჭვა შეადგენს. დღეს ინგლისის ხელმძღვანელი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის საკითხი უწინარეს ყოვლისა რუსეთის ინტერესებთან არის დაკავშირებული და მოკავშირეები მის გადაწყვეტას ადვილად დასთმობენ, თუ კი თვით რუსეთი უარს ამბობს სომხეთისა, გალიციისა, კონსტანტინოპოლისა და სრუტეების შეძენაზე. საერთოდ ლლოიდ ჯორჯისა და რიბოც თანახმანი არიან მიიღონ ზოგადი ფორმულა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისა, მხოლოდ თავისებური შინაარსი შეაქვთ ამ ფორმულაში. ბელგიისა, სერბიისა, მთაშავეთისა და რუმინეთის სრული აღდგენა მათი აზრით თავის თავად იგულისხმება. დაპყრობილი ადგილების ქონებრივი სანაზღაურო ცენტრალურმა სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ: ეს არ არის კონტრიბუცია. ელზას-ლორენი საფრანგეთს უნდა დაუბრუნდეს: ეს არ არის ანექსია.

ელზას-ლორენის საკითხის შესახებ მთავრობასა სოციალისტებს შორის სრული თანხმობა სუფევს საფრანგეთში. მთელი ფრანგის ერი დაკარგულ პროვინციების დაბრუნებას ელის, მაგრამ მეორე მხრივ ასეთივე სოლიდარობაა ბეტმან-ჰოლვეგსა და გერმანელ სოციალისტებს შორის. რიბოს უკანასკნელი სიტყვის საპასუხოდ ცენტრალურმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანომ „ფორვერცმა" შემდეგი განაცხადა: „სამი წელიწადია რაც მსოფლიო ომი სწარმოებს. ამ სამი წლის განმავლობაში არც ერთს გერმანელს თავში აზრად არ მოსვლია ელზას ლოტარინგიის დაბრუნება. საჭირო იქნება ალბად კიდევ სამი წლის ბრძოლა, რომ ეს ვინმემ იფიქროს".

რუსეთის რევოლუციამ კოსმოპოლიტური აღფრთოვანება გამოიწვია რუსის დემოკრატიაში. ეს ბუნებრივია. რევოლუციური იდეოლოგია ყოველთვის მთელი სამყაროს განახლებისა და გადახალისებისათვის ოცნებობს. მაგრამ დღევანდელს ევროპაში ეს კეთილშობილი ოცნება ოცნებად რჩება, სინამდვილეში კი შეიარაღებული ერები პირისპირ სდგანან და თავიანთ განსაკუთრებულს მიზნების განხორციელებას სცდილობენ. ეროვნული ინტერესების წინააღმდეგობა ჯერ-ჯერობით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე საერთაშორისო დემოკრატიის სოლიდარობა.

გერონტი ქიქოძე.

## მიწის სოციალიზაცია და „რეალური მოსახლეობა"

I

„7 მაისი ის ღირსშესანიშნავი ისტორიული დღე არის საქართველოს ისტორიაში, როდესაც შეიკრიბა მძლეთა-მძლე, საოცარი და ძლიერი ნების ყოფის, უღრეკი და ელასტიური მსოფლმხედველობის პარტიის შუქურ-ვარსკვლავთა კონფერენცია, და გამოაცხადა მიწის სოციალიზაცია და რეალური მოსახლეობის პრინციპი, რომლის წინაშე მუხლი უნდა მოიდრიკოს არა მარტო ვიღაც ბიჭბუჭების ქართველ სოციალ-დემოკრატიამ და მატრაკვეცა ეროვნულ დემოკრატიამ, არამედ თვით რუსეთის უძლავრესმა პარტიამ სოციალისტ-რევოლიუციონერებისამ", — დაახლოვებით ასეთის რიხით და თავაწყვეტით მოგვითხრობს კონფერენციის შემდეგ ფედერალისტების ზღაპარი ფედერალისტების „სახალხო ფურცელი". რაღა თქმა უნდა ხალხი იცინის ასეთ კვეხნაზედ, არა სჯერა რომ „ჭინჭრაქა ზღვას ცეცხლს მოუკიდებს", არა სჯერა რომ კუ, აქილესის ფეხზედ შემჯდარი, აქილესზედ სწრაფად დიოდეს და სოც.-ფედერალისტების ბელადები ამაზედ ძალიანა ჯავრობენ.

ან ვინ დაიჯერებს მართლაც, რომ ის პარტია, რომელმაც კონფერენციის სამი დღე ჩვეულებრივ წუწუნსა და ტირილს მოანდომა, კონფერენციის შემდეგ მძლეთა-მძლე, ნების-ყოფის პატრონი გახდა. ვინ დაიჯერებს, რომ პარტია „ორი მუშტისა", რომელიც „თამარის დღესაც" თურმე მხოლოდ ტაქტიკურის მოსაზრებით დღესასწაულობს და არა გულწრფელად,—არის ერთად ერთი სადი ეროვნული პარტია, რომლის დროშის ქვეშ არა თუ უნდა მოიყაროს, არამედ უკვე მოუყრია კიდეც და მუხლი მოუდრეკია მთელს ქართველ ერს. ზღაპარია მაშ რა არის! მაგრამ ვინ დაუშლიდა ჭინჭრაქას თავის ქებასა, რომ ეს პოლიტიკოსები მარტო ლიტერატურული ოცნებით კმაყოფილდებოდნენ;—არა, ისინი მიდიან ხალხში, მიდიან „ფრონტის ყრილობაზედ" და იქ რუსის ხალხთან (?) ერთად ადგენენ მიწის სოციალიზაციას; ისინი მიდიან ხალხში და „რეალურ მოსახლეობას" ქადაგობენ და ეს კი უკვე გადაჭარბებულია. გადაჭარბებულია ისევე, როგორც ყველაფერი სხვა ფედერალისტებისა: მათი სოციალისტობა, მათი რევოლიუციონერობა და სხ. და სხ.

სოციალიზაცია უაღრესად საჭიროა საქართველოსათვის, რადგან იგი ეროვნული სოციალისმის წინამორბედიაო, ამბობენ მაგალითად ისინი და სრულიად ყირამალა აყენებენ ნამდვილ სოციალისტების — სოციალ-დემოკრატების პროგრამას. „ობჩინა", ეს არა

მარტო რეაქციის, არამედ ველურობის დროის ნაშთი, სოციალისტ-რევოლუციონერებს რუსეთში მიაჩნიათ სოციალიზმის ჩანასახად და ეს უაღრესი აბსურდი რუსეთის ცხოვრებისათვისაც კი, ფედერალისტებს გადმოაქვთ ჩვენში, სადაც ინტენსიური მეურნეობა, მისი მაღალი კულტურა არა მარტო თვითონ უსწრობს რუსეთისას, არამედ შეგნებითაც მაღლა აყენებს ჩვენს მეურნეს—იქაურზედ. ფედერალისტები არ იცნობენ ჩვენს მეურნეობას, არ იცნობენ ჩვენი გლეხკაცობის ფსიხიკას, როგორც თვითონ აღიარებენ თავიანთ წერილებში, თავიანთ კონფერენციაზედ, თავიანთ ყრილობებსა და ლექციებზედ და ამავე დროს სწყვეტენ მეურნეობის უდიდეს საკითხს; და სწყვეტენ ისე რადიკალად; როგორც შეჰფერის ყოველს უმეცარს რაიმე საკითხისას. სოციალიზმი, მისი იდეოლოგების წარმოდგენით—მეურნეობაში პროგრესიის, ინტენსივობის და კულტურის შემტანი უნდა იყოს და რომელს ამათგანსა ხედავენ ფედერალისტები რუსის ჩამორჩენილ „ობშჩინაში“ მათს საიდუმლოებას შეადგენს. მართლაც, ქკუადამჯდარ და ბედნიერების მომტან ფორმულად ხომ არ ჩაითვლება ის ბავშური მოსაზრება, რომელიც თედო ღლონტმა გამოაცხადა: „მაშ რას იტყვით, რომ სოციალიზაცია ხვალვე გამოცხადდეს და პროგრესის მომტანად შეიქმნეს, არ შეგრცხვებათო?“ ესეც თუ საბუთია „პუბლიცისტისათვის“, იგი საბუთად არ გამოდგება უბრალო, საღი გონების ადამიანისათვის.

მაგრამ საჭირო იყო უკიდურესობა, რომ არავის შეეტანა ეჭვი მათს სოციალისტობაში და ფედერალისტებმაც არც აცხელეს, არც აცივეს—მიიღეს მზამზარეული ფორმულა სოციალისტ-რევოლუციონერებისა, როგორც ვითომდა უკიდურესი პარტიისა.

ახლა სოციალიზაციას საფუძვლად უნდა ჰქონდეს ზომა და აი ფედერალისტებმა მოიგონეს კიდეც: ეროვნული თვალსაზრისით ეს აუცილებელია, რადგან თავად-აზნაურობა ველარ გაჰყიდის მაშინ მამულს უცხო ელემენტებზედაო. ახირებული დებულებაა, რომლის დასარღვევად მხოლოდ მარტო ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში შეიძლება წერა, რადგან სხვაგან ისეც მიხვდებოდნენ, რომ ამის წინააღმდეგი საშუალება თვით პოლიტიკური ავტონომიის კომპეტენცია იქნება (რომელსაც თვითონ ქადაგებენ და რომელსაც ალბად თვითონაც არა სჯერათ). როცა შინაური საქმეების გამგებლად თვითონ საქართველო იქნება და იგი განსაზღვრავს კანონმდებლობით ასეთს მოვლენებს ერთის მხრით და ხელს შეუწყობს მიწების გადავლას ხალხის ხელში მეორე მხრით, ისე რომ გამყიდველების საფრთხეც მოისპობა; და ამის გარდა საკუთრება და ინტენსიური კულტურა ყოველთვის უფრო აყვარებს ადამიანს მიწას, როგორც ეკონომიურ პირობათა გამაუმჯობესებელს, ვიდრე „ობშჩინის“ ჩამორჩენილი მეურნეობა.

მეორე საფუძველი ზოციალიზაციისა—„სამართლიანობა“, რომელიც გამოაცხადა, მაგალითად, ს.-ფ. კონფერენციის და ფრონტის ყრილობის წევრმა აკაკი პაპავამ ქ. თელავში თავის ლექციაზედ—უფრო სუსტია კიდევ, არა მარტო თავისი არა მეცნიერული შინაარსით, არამედ ლოღიკურის წინააღმდეგობითაც, რომელშიაც უნდა ჩავარდეს „უდრეკი პარტია“ ამგვარ სამართლიანობის პრინციპის შეტანით—პოლიტიკო ეკონომიურ საკითხებში. **სამართლიანობა მოითხოვს თავად-აზნაურობის, საეკლესიო და სახაზინო მიწები გადაეცეს სოციალიზაციის წესით მშრომელ ხალხს, რადგან მიწა, როგორც ჰაერი, რუსის ხალხის წარმოდგენით, არავისი არ არისო და ხხვებმა კი ძალადობით დაისაკუთრესო.** მთელი ეს დებულება რაღაც უცნაურობის და წინააღმდეგობის კვანძია, რომლის გამოხსნა უდრეკი პარტიის გარკვეულობას დაამტკიცებს აშკარად. ჯერ ერთი, რა შუაშია სამართლიანობა მიწის-მფლობელობის საქმეში? განა ხსენებული მიწები რომ კერძო საკუთრებად დაურიგდეს მშრომელ ხალხს, ნაკლები სამართლიანობა იქნებოდა და წარმოების უკეთეს პირობებს არ შექმნიდა? ან რუსის გლეხის წარმოდგენა რა სავალდებულო გონებრივი ნორმაა ქართველი გლეხისათვის ან სოც.-ფედ. ინტელიგენციისათვის? როდის იყო, რომ შეუგნებელთა შეხედულება საფუძვლად დასდებოდეს მეცნიერულს ან შეგნებულს შეხედულებას? მაგრამ ვსთქვათ რუსის გლეხობა იმდენად მიუახლოვდა სოციალისტურ მსოფლმხედველობას, რომ გაუსწრო ევროპის, ამერიკის დ სხვა კულტურულ ქვეყნების გლეხთა შეგნებას, და მისი შეხედულება სავალდებულოა მაშასადამე ჩვენი გლეხობისათვისაც, არ უნდა ეკითხებოდეს გლეხობასაც, თუ მას თვითონ რა უნდა?—ეს ხომ დემოკრატიული პრინციპის დარღვევაა და არ შეიძლება თავის მართლება იმით, რომ გლეხობა ავტონომიის წინააღმდეგაც ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას გავიძახითო. საინტერესოა აგრეთვე ჰაერის და მიწის შედარება—არავისი უნდა იყოსო. ჯერ ერთი ჩვენს შეგნებულს გლეხკაცობას ასეთი უგუნური შეხედულება არა აქვს, და ინტელიგენციას ხომ სულ არ ეპატიება. კერძო საკუთრება წყალზედ, ჰაერზედ, მიწაზედ იმდენად არის განმტკიცებული ფაქტიურად და გონებაშიაც, რამდენადაც იგი განიცდის ადამიანის შრომის ზეგავლენას და ნაყოფს იძლევა რასმე და ჰაერი თუ არავის კერძო საკუთრებას არ შეადგენს მარტო იმიტომ, რომ ჰაერში კარტოფილს ან ფაზს ვერ დარგავ, კომბოსტოს და პურს ვერ მოიყვან, ვაშლს ვერ მოჰკრეფავ; მაშინ როდესაც მიწაზედ კერძო საკუთრება და ამ საკუთრების ფსიხიკა იმდენად ვითარდება, რამდენსაც მეტს და უკეთეს მცენარეს მოიყვანს ადამიანი ან სხვა საქმეს გააჩაღებს. ამიტომ ჰაერის და მიწის მოქცევა ერთ ფორმულაში: არავისი არ არის, იმდენადვე საფუძვლიანია, რამდენადაც სოც.-ფედერალისტების ჰაეროვანი ოცნება მოთავსდება სინამდვილესთან.

**რ. გაბაშვილი.**

# პრესა

**„კანტონების“ პროექტი და „დაშნაკცაკანები“.**

მოსკოვის სომეხთა ორგანოს „არმიანსკი ვესტნიკის“ მე-18 ნომერში სწერია:

„კავკასიაში დიდი ორგანიზაციული მუშაობა სწარმოებს. ეროვნული, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ჯგუფები კავშირდებიან, ყოველივე ამაში თანდათან წესრიგი მყარდება“.

ეროვნულს საკითხსა და კავკასიის მომავალ წყობილების შესახებ ჟურნალი სწერს:

„ქართველ სოციალ-დემოკრატების წრეებში დიდს ყურადღებას იპყრობს პროექტი, რომლის ავტორად ასახელებენ კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ერთ ლიდერს. ამ პროექტით კავკასია უნდა დაიყოს სამ კანტონათ: ქართულ, სომხურ და თათრულ კანტონებად. ამ კანტონების საზღვრები უნდა დამყარდეს ეროვნულ შემადგენლობის მიხედვით, თითეულს კანტონს შინაური თვითმმართველობა აქვს საკუთარი სეიმით. კავკასიის საერთო საქმეებს განაგებს საერთო სეიმი, რომლის რეზიდენცია იქნება თბილისი, რომელიც არ შევა არც ერთის კანტონში და იქნება ასე ვსთქვათ ნეიტრალური.

„ეს პროექტი, თუ ყველაფერში არა, ძლიერ ბევრს რამეში ეთანხმება დიდი ხანია ჩვენ დაშნაკცაკანების მიერ შემუშავებულს გეგმას, რამდენად, რასაკვირველია, ლაპარაკია ძირითად საფუძვლებზე და არა დეტალებზე. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამ პროექტის საფუძვლები მეტად ჯანსაღია და ისინი ძლიერ ადვილად სწყვეტენ კავკასიაში არსებულ ეროვნულ უთანხმოებასო“.

კომენტარიები, როგორც იტყვიან, ზედმეტია...

# რევოლუცია

## დეპეშები

**ყრილობის დამთავრება.**

**კამენეც-პოდოლსკი.** მაისის 21. დამთავრდა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის დელეგატთა ყრილობა. მიწის საკითხზე გამოტანილ იქმნა რეზოლიუციები; ავსტრიის მთავრობას პროტესტი გამოეცხადა ადლერის სასიკვდილო განაჩენის გამო. ბულგარეთის ერს მოუწოდეს ფერდინანდ მეფე ტახტიდან ჩამოაგდონ. ყრილობას უკანასკნელი სიტყვით გენ. ბრუსილოვმა მიჰმართა.

**თავისუფლების სესხი.**

**დონის-როსტოვი.** მაისის 21. მინისტრ შინგარიევის მოწოდებას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. საშუალოდ 13 მილიონის თავისუფლების სესხი განაღდდა. აგრეთვე შემოვიდა შემოწირულებანი ოქროთი, ვერცხლითა და სხვა ნივთებით. სესხს გარდა ხალხი დიდძალ ფულსაც სწირავდა ომის საჭიროებისთვის.

**დაძმობილება.**

**მომქმედი ჯარი.** მაისის 21. ჯარის მეათე კომიტეტმა გამოაქვეყნა ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ ფრონტზე დაძმობილების ნიადაგზე გაუგებრობა მოხდა ქვეითა ჯარის და არტილერიის შუა. საბედნიეროდ გაუგებრობას ფართო ხასიათი არ მიუღია.

**კრონშტადტის ამბები.**

**პეტროგრადი.** მაისის 21. მუშათა და ჯარისკაცთა დელეგაცია, რომელიც კრონშტადტში იყო გაგზავნილი საქმის გამოსაძიებლად, დაბრუნდა პეტროგრადში. კრონშტადტის აღმ. კომიტეტმა საქმის გამოსარკვევად პეტროგრადში თავის დელეგატი გამოგზავნა.

**კრონშტადტის ამბები.**

**პეტროგრადი.** მაისის 18. (დაგვიანებულია). კრონშტადტის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭომ მაისის 17 დაადგინა (210 ხმით 40-ს წინააღ., რვამ თავი შეიკავა), ხელთ იგდოს ქალაქ კრონშტადტის ფაქტიური მმართველობა და განაცხადეს, რომ კრონშტადტი არ სცნობს დროებით მთავრობას. ამასთანავე დაადგინა ახალი მთავრობის ყველა წარმომადგენელნი თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნენ. რუსეთთან და პეტროგრადთან დამოკიდებულების დასაჭერად დაადგინეს, არაფერი არ ჰკითხონ ახალს მთავრობას და პირდაპირ მიჰმართონ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს. იუსტიციის მინისტრმა დაადგინა ყოველივე ეს ეცნობოს დროებით მთავრობას, შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თხოვნის თანახმად მიჰმართა კრონშტადტელებს უარჰყონ თავიანთი დადგენილება და პირდაპირი დამოკიდებულება იქონიონ მთავრობასთან.

**„გლეხის სიტყვა“.**

**მოგილევი.** მაისის 22. გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „გლეხის სიტყვისა“, რომელიც გლეხთა დეპუტატების მიერ გუბერნიის ერობისგან ჩამორთმეულ სტამბაში დაიბეჭდა. გაზეთი გლეხებს ურჩევს ყოველი სიმართლე ჯარისკაცთა გაზეთებით ამოიკითხონ და ყური არ ათხოვონ სატახტო ქალაქის ბურჟუაზიულ გაზეთებს.

**კერენსკი ოდესაში**

**ოდესა,** მაისის 18. მინისტრ კერენსკის წმ. გიორგის ჯვრის კავალერი ცხენოსნები დიდის ამბით შეეგებნენ. კერენსკიმ გულითადი მადლობა გადაუხადა. შავი ზღვის ფლოტის ამირბარი მიეგება ფლოტის სახელით, შემდეგ მიმართა გიორგის კავალერთა კავშირს, სულის სიმტკიცე მოიცეთ და ლაშქარში ძლიერი დისციპლინის სული შეჰქმენითო. კერენსკის ხანგრძლივი ოვაციები გაუმართეს. „ვაშას“ ძახილით მინისტრი ნავთსადგურისკენ გაეშურა სევასტოპოლში წასასვლელად.

**კერენსკი ვოლგარში**

**ვოლგარი.** მაისის 23. კერენსკის დიდის ამბით შეეგებნენ რკინის გზის სადგურში. დელეგატები მეტ წილად ქალაქის გარნიზონიდანა და რკინის გზის მუშებიდან იყვნენ გოგზავნილნი. დელეგატებმა იმედი გამოსთქვეს, რომ მინისტრი შესძლებს ლაშქარში სულის სიმტკიცის ადდგენას. კერენსკიმ ამაზე უპასუხა: „განთავისუფლებულს რუსეთს დიდი პატივი მიეცა იმით, რომ მას უხდება ბრძოლა მსოფლიოზე დაწინაურებულ ერთა დემოკრატიის გვერდით. ერთის მხრით მის გვერდით სდგას საფრანგეთი, რომელმაც ასი წლის წინად ჩამოაგდო თვითმპყრობელობის უღელი, მეორე მხრით ინგლისი, რომელმაც მთელს ევროპაში პირველად დაარსა თავისუფალი დაწესებულებანი, და ბოლოს ოკეანეს იქითა მხრის რესპუბლიკა. აი, ამ დემოკრატიათა შეთანხმებით ჩვენ ვაიძულებთ ნახევარ თვითმპყრობელურ გერმანეთისა და ავსტრიის სახელმწიფოებს ხელი აიღონ დაპყრობით პოლიტიკაზე და ძალმომრეობაზე. ჩვენ მთელს ქვეყანას ვაუწყეთ ჩვენი სურვილი „ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ“. დღეს დღეობით ბელგეთი, სერბეთი, პოლონეთი, ლიტვა, კურლიანდია და ესტლანდიის ნაწილი დაპყრობილია მტრისაგან. ჩვენი მიზანი არის და უნდა იყოს მათი განთავისუფლება“. ხალხი ვაშას ძახილით შეეგება. წაგვიყვანეთ, გვიბრძანეთ... მე თქვენი მონა ვარ და სიკვდილამდინ თქვენი ვიქნები“, დაიძახა ერთმა ჯარის კაცმა. ამაზე კერენსკიმ უპასუხა: „თავისუფალ რუსეთში მონები არ არიან. ჩვენ ყველანი თანაბარი მონები ვართ ჩვენი მოვალეობის წინაშე და რევოლიუციის წინ.“ შემდეგ მინისტრი რიგასკენ გაემგზავრა. გზად ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილი არა სწყდებოდა.

**კერენსკის ბრძანება.**

**პეტროგრადი,** მაისის 23. ფლოტის აფიცერთა დემოკრატიზაციის მოსახდენად, რომ მომავალი აფიცრობა ყოველისფერს შეჩვეული იყოს, შრომას და ფიზიკურს ვარჯიშობას, ბრძანება გაეცა, ყოველთვის სამხედრო ვარჯიშობის შემდეგ ისე უნდა მოეწყოს, რომ მათ ორი საათი რჩებოდეთ თავ-თავიანთ ოთახების დასალაგებლად, სასეირნოდ, ფიზიკური ვარჯიშობისთვის და სხვა.

**გაფიცვების შესახებ.**

**დონის-როსტოვი.** მაისის 23. ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა აუხსნან მუშებს, რომ არაა სასურველი წარა-მარად გაფიცვების მოხდენა, თუ იგი კარგად არ იქნება მომზადებულიო. მეორეც, მუშებს აეკრძალათ თვითნებობა, საწარმოვო ნივთების რეკვიზიცია, ხელში ჩაგდება წარმოებისა და სხვა.

**კონტროლი რკინის გზებზე.**

**ვორონეჟი,** მაისის 22. რკინის მოხელეთა ყრილობამ სრული უნდობლობა გამოუცხადა არსებულ ადმინისტრაციას. ამიტომ დაადგინა, სასტიკი კონტროლი უნდა გაუწიოთ ყველას მოქმედებასაო. კონტროლობას მუშებსა და ჯარისკაცებს ანდობენ.

**მუშათა საკითხი.**

**პეტროგრადი,** მაისის 19. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შრომის განყოფილებამ მიჰმართა ყველა ქალაქისა და ოლქების ამავე განყოფილებას ჩვენებით, რომ მუშათა საკითხი და სასურსათო კრიზისი ძალიან გამწვავდაო. ამასთანავე შრომის სამინისტროს დაარსებას თან მოსდევს შრომის კანონმდებლობითი დაცვის გეგმის შემუშავება, ხოლო მუშათა ორგანიზაციათა ესოდენი გამრავლებას—მათი ერთმანეთთან და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან დამოკიდებულებას. საჭიროა გათვალისწინებულ იქმნას ხსენებულ საბჭოს მთელი მუშათა პოლიტიკის სფეროში და ეკონომიურ ბრძოლაშიო, ამიტომ საბჭო სთხოვს ყველა ადგილობრივს საბჭოებსა და სექციებს გაითვალისწინონ ეს საკითხები და თიბათვის 1-ს მ. და ჯ. კ. საბჭოთა ყრილობაზე დელეგატები გაჰგზავნონ.

# ეროვნული საკითხი

## დეპეშები

**ირლანდიის კონვენტი.**

**ლონდონი.** მაისის 21. პარლამენტის დახურვის შემდეგ მოწვეულ იქნება ირლანდიის კონვენტი. კონვენტზე 110 წევრი იქნება, მათ შორის ბრიტანეთის მთავრობის მიერ დანიშნულია 15.

**გაზეთებიდან**

**უკრაინის ჯარის შესახებ.**

გრენადერთა პირველი დივიზიის უკრაინელ აფიცრებმა და ჯარის-კაცებმა უკრაინის ჯარის შესახებ შემდეგი დადგენილება წარუდგინეს დროებით მთავრობას დასამტკიცებლად:

**I. აღიარებულია:**

1) ეთხოვოს დროებით მთავრობას და უმაღლეს მართველობას უკრაინის დამოუკიდებელ ჯარის შექმნა, რიცხვით არა ნაკლებ პოლონეთის ჯარისა.

2) ჯარის შესადგენად დაუყოვნებლივ გამოიწვიონ მომქმედ ჯარიდან უკრაინელი ჯარის-კაცები და ოფიცრები და კიევში ჩამოიყვანონ უკრაინის ეროვნულ კონგრესის რადის განკარგულებაში.

3) გაეწეროს მომქმედ ჯარში ყველგან უკრაინელ ჯარის კაცებს ჟურნალ-გაზეთები და უკრაინის რადას ნება მიეცეს მოწოდების და პროკლამაციების გავრცელებისა საერთოდ ჯარში.

**II. მის აღსასრულებლად.**

დაევალოს უკრაინის კონგრესის აღმ. რადას: 1) მიიღოს ყოველივე ზომა ჯარის საჩქარო დაარსებისათვის და მის შესავსებად. 2) საერთო—სახელმწიფო ჯარში მიიღოს თავის თავზე უკრაინელ ჯარის მფარველობა. გამოაცხადოს ხელის მოწერა უკრაინულ ეროვნულ ფონდზე.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი,** მაისის 23. **დასავლეთის ფრონტი.** კრევოს რაიონში მტერი ინტენსიურად მოქმედობს. პოტოპნიას რაიონში მდ. ბერეზინაზე მტრის უმნიშვნელო იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ადგილებში ჩვეულებრივი სროლაა.

**რუმინეთის ფრონტი.** ჩვეულებრივი სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** აკოშაბის მთის რაიონში, ერზინჯანისა და შანის სამხრეთით ქურთების იერიშები მოვიგერიეთ. ქერნენშაჰის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა რავანსირი დაიჭირა. ქურთებმა ჯევან რუდისაკენ დაიხიეს.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა**

**პარიზი,** მაისის 21. **დღის ოფიციალი.** კრანის რაიონში დაწყებული გერმანელთა არტილერიის მოქმედება თან და თან ძლიერდებოდა და ბოლოს ვოკლერისა და კალიფორნიის ზეგანთა მთელს ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა გაჩაღდა. გერმანელებმა ხუთი ძლიერი იერიში მოიტანეს ჩვენზე, სამი კალიფორნიის ზეგანის აღმოსავლეთით და ორი ვოკლერის ზეგანის დასავლეთით. იერიშები ყველგან მტრის დიდი ზარალით მოვიგერიეთ. ბევრი დავატყვევეთ. ძლიერი საარტილერიო სროლა იყო აგრეთვე ლაბოვილის სექტორში მდ. კიეტისა და ენის შუა. შამპანში გერმანელები, სიმარის ხეობის სამხრეთით, ბეზანვოსა და ვოგეზებს უნაყოფოდ თავს ესხმოდნენ.

**პარიზი,** მაისის 22. **დღის ოფიციალი.** ფერმა ფრუადმონის ჩრდილო-აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა ძლიერდება. მტერმა ჩვენი თხრილების რამდენიმე ადგილი დაიჭირა. ვოკლერისა და კალიფორნიის ზეგანის ფრონტზედ მტერი იერიშებს არ აწარმოებდა. შამპანში გეტონის მთის დასავლეთით ჩვენ უეცრად თავს დავესხით მტრის თხრილებს და ბევრი დავატყვევეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა მფრინავებმა მტრის ექვსი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. ამას გარდა ჩვენმა არტილერიამ მტრის 3 ჰაეროპლანი ჩამოაგდო და მფრინავები, მათ შორის 3 აფიცერი დავატყვევეთ. მტრის მფრინავებმა ფანოისა და დიუნკერკას რაიონში ყუმბარები ჩააგდეს. მოკლულია 3 მოქალაქე.

**ბრიტანეთის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი,** მაისის 22. **ოფიციალი.** მდ. სუშეს სამხრეთით დღის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა იყო. დიდათ დაზარალებულმა მტერმა კონტრ-იერიშით დაჭერილ ადგილებიდან დაგვაზხევინა. ამ ოპერაციების დროს ჩვენ 92 ტყვე წამოვიყვანეთ, ბევრნი დავატყვევეთ აგრეთვე ლავანტის დასავლეთით და ვეისხოიტეს სამხრეთით.

**მფრინავთა მოქმედება.** გუშინ ჰაერში ბრძოლის დროს ჩვენ მტრის 5 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ და 5 დავაზიანეთ. ჩვენ 4 ჰაეროპლანი გვაკლია.

**ლონდონი,** მაისის 22. **ოფიციალი.** შერიზის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ კვლავ დავიჭირეთ სადარაჯო, რომელიც წინა დღეს მტერმა წაგვართვა. ლა-ბასსეს პოზიციაზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. იქვე ჩვენ თავს დავესხით მტრის სანგრებს. ნევშაპელის რაიონში, ვერმევლის აღმოსავლეთით ჩვენ თავს დავესხით მტრის თხრილებს.

**ინგლისის საამირბაროს ცნობა**

**ლონდონი,** მაისის 22. საამირბარო იუწყება: დიუნკერში ინგლისის ფლოტილიის უფროსი გვაუწყებს, რომ ბრიუგგეს არხში მტრის დოკებს ყუმბარები დაუშინეთო.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი.** მაისის 21. ვენეციის მიდამოებში მტრის ჰაეროპლანმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. მას ფრანგი და იტალიელი მფრინავები დაედევნენ, ტრიესტს მიაღწიეს და იქ ყუმბარები ჩაჰყარეს.

**ახალი დანიშნულება.**

**პეტროგრადი.** მაისის 22. დროებითმა მთავრობამ უმაღლესი მთავარსარდალი გენერალი ალექსეევი დროებით მთავრობის განკარგულებაში დასტოვა, უმაღლეს მთავარ-სარდლად დაინიშნა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის უფროსი გენ. ბრუსილოვი, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის გამგედ დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი გუტოვი.

**სტოკჰოლმის კონფერენცია.**

**სტოკჰოლმი.** მაისის კონფერენციაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ გერმანეთის ს.-დ. უმცირესობის წარმომადგენელები. დელეგატებმა პრესის წარმომადგენლები არ ინახულეს.

**ომის მომხრენი და მოწინააღმდეგენი ამერიკაში.**

**ლონდონი.** მაისის 21. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ყოველ ზომასა ჰხმარობს არეულობის წინააღმდეგ. ყველგან აპატიმრებენ ჯარისკაცთა მოკრეფის მოწინააღმდეგე აგიტატორებს. მადისონ-სკვერში პაციფისტების მიტინგი მოჰხდა. პოლიციის გაძლიერებულ მიტინგს რაზმი უთვალთვალებდა. არეულობისა ეშინოდათ, მაგრამ მიტინგმა მშვიდობიანად ჩაიარა. შემდეგ იმავე ადგილზე მოჰხდა ომის მომხრეების მიტინგი, რომელთაც თავის რეზოლიუციაში პაციფისტების პროპაგანდა დაჰგმეს.

**ოფიცერთა ყრილობა.**

**მთავარ სარდლის ბანაკი.** მაისის 19. ყრილობამ ერთხმად აღიარა, რომ ჯარი საერთო დაქცევის წინ სდგას. ჯარის და საზოგადოების შეგნებულ ნაწილში ჩვენი მტრების გასახარებლად ფეხს იკიდებს ომის შეწყვეტის სურვილი. ყრილობამ დაადგინა, რუსის მხედრობამ მოკავშირეებთან ერთად იმ დრომდე იბრძოლოს, სანამ მტერი დაპყრობილ ქვეყნებს არ მიატოვებს, არ დაუბრუნებს მცხოვრებლებს წართმეულ კონტრიბუციას და ზარალს არ აუნაზღაურებს. რუსეთს უნდა გაეხსნას თავისუფალი გზა ხმელთაშუა ზღვისაკენ, ამიტომ ომი უნდა მიყვანილ იქნეს გამარჯვებამდე. საჭიროა ძლიერი პასუხის-მგებელი მთავრობა, რომელიც რეალურ ძალას დაეყრდნობა. საჭიროა რკინის დისციპლინა ფრონტზედ.

**სენატის ყველა ჯგუფების ბიუროს შეკითხვა.**

**პარიზი,** მაისის 20. სენატის ყველა ჯგუფების ბიურომ მთავრობას შეკითხვით მიჰმართა რა ადგილის დაჭერასა ჰფიქრობს სტოკჰოლმის კონფერენციაზე. ბიუროს აზრით მხოლოდ პასუხისმგებელ მთავრობას აქვს უფლება სამშობლოს არსებობისა და მისი სახელისათვის მოლაპარაკების გამართვისა.

**ნაღმის აფეთქება.**

**სევასტოპოლი.** მაისის 19. რუსეთის ზღვის სანაპიროების მოშორებით დიდმნიშვნელოვანი ოპერაცია სწარმოებდა. ამ დროს ერთ ერთ კატერზედ ნაღმი აფეთქდა. აფეთქებამ 3 აფიცერი საზღვაო კორპუსის კადეტი და 11 მეზღვაური იმსხვერპლა. მეორე კატერზედაც იყვნენ დაჭრილები და დახოცილები, მაგრამ იგი ოპერაციის ბოლომდე თავის ადგილზე დარჩა. ამირბარმა კოლჩაკმა დაჭრილ მეზღვაურებს წმ. გიორგის ჯვრები დაურიგა.

**მტრის ჰაეროპლანები.**

**მინსკი.** მაისის 19. დილით ქალაქს მტრის ორი ჰაეროპლანი დასტრიალებდა. მეციხოვნე ჯარმა ჰაეროპლანებს სროლა აუტეხა და გააძევა.

**ადესა.** მაისის 18. ადესიდგან 30 ვერსის მანძილზედ მტრის 4 ჰაეროპლანი შეჰნიშნეს. ტირასპოლში მტრის მფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს.

# რუსეთი და უცხოეთი

**სამხედრო და საზღვაო მინისტრის კერენსკის განცხადება.**

**პეტროგრადი.** მაისის 18. (დაგვიანებულია). დროებითმა მთავრობამ შეიწყნარა სამხედრო და საზღვაო მინისტრის კერენსკის წინადადება როზგებითა და გიჟის ხალათით დასჯის მაგივრად სამხედრო სატუსაღოებში დამწყვდევა შემოიღონ.

**ც ე ც ხ ლ ი.**

**სარატოვი.** მაის 19. სალტიკოვკაში დიდი ცეცხლია. იწვის სახელმწიფო ბანკის ელევატორი,—ელევატორში ერთი მილიონი ფუთი ხორბალია.

**ამერიკელი ემიგრანტები.**

**ვლადივოსტოკი,** მაისის 19. ამერიკიდგან დიდძალი ემიგრანტი მოვიდა. მოელიან კიდევ 20.000 კაცს. მათი გამგზავრება ძალიანა ჭიანურდება. ემიგრანტები უწესოდ იქცევიან. „დალიოკაია ოკრაინა“-ს სიტყვით ემიგრანტები გემის ბაქანიდანვე მოუწოდებენ ხალხს სხვა და სხვა ექსცესებისაკენ.

**ღვინის საწყობის აკლება.**

**ტროიცკი,** მაისის 16. (შემთხვევით) ტროიცკის ჯარისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შეერთებული კომიტეტი იუწყება: ღვინის საწყობთა აკლება მაისის პირველს დაიწყო, ნაშუადღევის 2 საათზე. საღამოთი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა ძლივს მოახერხა შეეჩერებინათ ღვინისა და

არყის განიდვა. ხოლო აპრილის 24, აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა ინიციატივით, შეერთებული სამხედრო კომიტეტი დაარსდა, რადგან ბრბო დასარბევად ემზადებოდა. შემდეგ ყველაფერი დამშვიდდა. ცნობების მიხედვით, ლოთობით 151 კაცი გარდაცვლილა.

**სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის მომწესრიგებელი კომისია**

**ხარკოვი,** მაისის 19. მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭომ აირჩია ხარკოვ-ვოროჟების რაიონში სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის მომწესრიგებელი საგანგებო კომისია.

**ციხიდან გაქცევა**

**ტაგანროგი,** მაისის 19. ციხიდან გაიქცა ცნობილი ბოროტმოქმედი სიდორენკო. ამიტომ აღკრძალეს ტუსალთა საერთო სეირნობა. ამის წინააღმდეგ ტუსაღებმა შიმშილობა გამოაცხადეს.

**დამალული ხორბალი**

**ჟიტომირი,** მაისის 19. თ-დ სანგუშკოს და გრაფ პოტოცკის მამულში აღმასრულებელმა კომიტეტმა 60.000 ფუთამდე დამალული ხორბალი იპოვა.

**ტექნიკოსთა ყრილობა**

**მოსკოვი,** მაისის 19. სრულიად რუსეთის ტექნიკოსთა ყრილობამ დაადგინა ზომები მიიღოს ტელეგრაფის მავთულთა გასასწორებლად, რათა ამიერიდან დეპეშები ფოსტით არ გაიგზავნოს ხოლმე.

**ქურდების დაჭერა**

**ტამბოვი,** მაისის 20. სოფ. ბონდარში გლეხებმა შეიპყრეს ხუთი ქურდი, რომელთაც სოფლის სამმართველო გაჰქურდეს და ორი დარაჯი მოჰკლეს; ორ ქურდს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს და იქვე დახვრიტეს.

**პურის მონოპოლია.**

**ვიატკა.** მაისის 20. სასურსათო ყრილობამ დაადგინა გამოარკვიოს სათადარიგო პურის რაოდენობა მაზრებში და პურის მონოპოლია შემოიღოს. ამ ჟამად მთელს გუბერნიაში 18 მილიონი ფუთი სათადარიგო პურია.

**მატარებელზე თავდასხმა.**

**დონის-როსტოვი.** მაისის 19. (დაგვიანებულია). როსტოვის მახლობლად ბოროტმოქმედთა ბრბო თავს დაესხა საბარგო მატარებელს. ცოტაოდენ წინააღმდეგობის შემდეგ, ბრბო გაიფანტა.

**ლინჩის სამართალი.**

**სიმფეროპოლი.** მაისის 14 (მიღებულია ფოსტით). ბაღჩისარაიში ხალხის ბრბომ ლინჩის სამართლით დასაჯა სატუსაღოდგან განთავისუფლებული ქურდები. მთავარ ქუჩაზე მხეცურად აწამეს რამდენიმე ქურდი მილიციონერებისა და პატრულთა თანდასწრებით.

**რუმინეთის პარლამენტის გახსნა.**

**იასსი.** მაისის 20. გაიხსნა რუმინეთის პარლამენტი. შეტანილ იქმნა კანონ-პროექტი კონსტიტუციის შეცვლისა. შრომის ჯგუფის პარტიის დეპუტატი სასტიკად ჰკიცხავდა მთავრობას და ბრალს სდებდა, მან თავისი უტაქტიკობით რუმინეთი მორალურად და მატერიალურად დააქვეითა და ქვეყანა დაღუპვის უფსკრულამდე მიიყვანაო. ბრატიანუმ მეფის დეკრეტი წაიკითხა, სადაც ნათქვამია, რომ პარლამენტის სესსიები ივნისის პირველამდე გაგრძელდებაო.

**ჰიგიენის სამინისტრო.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 22. ვენიდან იუწყებიან, რომ იმპერატორ კარლოსის ბრძანებით დაარსდა სახალხო ჰიგიენის სამინისტრო.

**გალიციის მინისტრის გადადგომა.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 21 ვენიდან იუწყებიან, რომ იმპერატორმა გალიციის მინისტრის გრაფ ბობრინსკის სამსახურიდან გადადგომა შეიწყნარაო.

**არეულობა ჩინეთში.**

**პეკინი.** მაისის 20. ჩჟილის და ჩჟეტზიანის სამხედრო გუბერნატორებმა ამ პროვინციის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. მუანცზინის სამოქალაქო გუბერნატორმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

**იაპონია ჩინეთის საქმეში არ ერევა.**

**ტოკიო.** მაისის 21. ჩინეთის ამბების გამო მთავრობის ელჩმა ჩინეთის მთავრობას აუწყა, რომ იაპონია არ ისარგებლებს საქმის არევ-დარევით და ჩინეთის შინაურ საქმეებში არ ჩაერევაო.

**ეპისკოპოსი ევლოგი.**

**ჟიტომირი.** მაისის 22. ბროდის მაზრის სამმართველოს ყოფილმა მდივანმა დაშკოვმა წერილობით მიჰმართა „ტრუდოვოი ვოლინის" რედაქციას, რომლითაც ამტკიცებს, რომ ევლოგის აგენტები ჰყავდა უნიატთა ეკლესიიდან ანტიმინსების მოსაპარავადაო. ამ ანტიმინსების წყალობით ევლოგის საშუალება ეძლეოდა უნიატთა ეკლესიაში მართლმადიდებელი მღვდლები გაემწესებინა. როდესაც სამყსოში პირველად მოვიდა მღვდელი აბრამოვიჩი, რომელიც ხალხს არწმუნებდა, თქვენთვის უმჯობესი იქნება თუ მართლმადიდებლობას მიიღებთო, მცხოვრებნი ზიზღით შეჰხვდნენ მას, არ მიიღეს. ევლოგის ინიციატივით ეს მღვდელი ენისეს გუბერნიაში იქნა გადასახლებული.

## უკანასკნელი დეპეშები

ვაჭრობა მრეწველობის მინისტრ კონოვალოვის სამინისტროდან გასვლის გამო, მოსკოვის ბირჟის კომიტეტმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა პრემიერს თავად ლვოვს: საშიში მდგომარეობა, რომელსაც ამ ჟამად განიცდის სამშობლო მრეწველობა, წარმოების არსებობის საფუძვლიან უზრუნველყოფას მოითხოვსო.

მეორე დეპეშაში, რომელიც კონოვალოვს გაეგზავნა სწერია: თქვენს წასვლას ჩვენ ვუმზერთ, როგორც თქვენ სურვილს, რომ ფართო საზოგადოებამ ღირსეული ყურადღება მიაქციოს მრეწველობას არანორმალურ მდგომარეობას.

—

კურსკის გუბერნიაში დაატუსაღეს ცნობილი შავ-რაზმელი მონარქისტი სახელმწიფო სათათბიროს წევრი მარკოვი მეორე.

**მესამე დღეა, რაც გაზეთი „საქართველო" თითქმის სრულიად არ იყიდება თბილისის ქუჩებში. მიზეზი ის არის, რომ გაზეთის გამყიდველებმა იმდენად გადაჭარბებული მოთხოვნილებები წარმოგვიდგინეს, რომ მათი დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელი გახდა. საქმის მოსაგვარებლად ზომებია მიღებული.**

# ქრონიკა

## კავკასია

◆ **კავკასიის გრენადის დივიზია.** მარტის 27 და 28 კავკასიის მეორე გრენადის დივიზიაში ასეთი ამბავი მოხდა: დივიზიის პოლკებმა ბრძოლაში გასვლაზე უარი განაცხადეს. შემდეგ მათ მოითხოვეს კორპუსის კომანდირის გენერალ მეხმანდაროვისაგან საქმის ვითარების ახსნა, მაგრამ მისი საბუთებით არ დაკმაყოფილდნენ და გენერალის გადაყენება მოითხოვეს.

◆ **ექ. ი. გოპაძე** კავკასის სამხედრო ოლქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის თანამდებობიდან გადადგა. მის ადგილას დაინიშნა მოსკოველი ექ. ვეისსი. გოპაძე, როგორც გამოცდილი ექიმი, მიწვეულია თბილისის ერთ დიდ ლაზარეთში კონსულტანტად.

## საქართველო

◆ **შრომის ფასის მომატება.** თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა დაადგინა შრომის ფასი მოუმატოს თავის მოსამსახურეებს. ვინც თვიურად 75 მან. ღებულობს მიემატება 75 პროც., ვინც 100 მ. ღებულობს 60 პროც, 120 მან.—48 პროც. 150 მან. 40 პროც. 200 მან. 33 პროც., 250 მან. 36 პროც., 300 მ. 45 პროც., 400 მ. 15 პროც., 500 მ. 10 პროც., ვისაც 500 მანეთზე მეტი ეძლევა თვიურად, იმას აღარა მიემატა რა.

◆ **ილიკო ქურხული.** მოხეტიალე მესკრიპკე ილიკო ქურხულმა მოიარა და კონცერტები გამართა: ფოთში და დასავლეთ საქართველოს ზოგ ადგილებში. იგი ამჟამად თბილისში იმყოფება. ქურხული ხელახლა აპირებს დასავლეთ საქართველოში მოგზაურობას და კონცერტების გამართვას იმ ადგილებში, სადაც არ გაუმართავს.

◆ **თავმჯდომარის დანიშვნა.** გორის მაზრის სამხედრო საკრებულოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა გორის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. რ. ერისთავი.

◆ **„ცისფერი ყანწები".** ამ მოკლე ხანში გამოვა „ცისფერ ყანწების" სარევოლუციო ნომერი. თანამშრომელთა ძველ შემადგენლობას გარდა ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ სხვა ცნობილი და დამსახურებული ქართველი მწერლებიც.

## თბილისი.

◆ **სასჯელი ღვინის გაყიდვისათვის.** თბილისის მილიციის უფროსმა ივ. კაჩუხაშვილმა დაადგინა: 1) რესტორან „მომონდის" პატრონი ს. ი. გონიევი 3.000 მან. დააჯარიმოს, რადგან იგი ღვინოს ჰყიდდა თავის რესტორანში, ხოლო თუ ფულის გარდახდას ვერ შესძლებს, 3 თვით დააპატიმროს; 2) 10 დღით დაიკეტოს რესტორანი და იქიდან გამოტანილ იქმნას სანოვაგე, სამხედრო გოსპიტალში მხოლოდ ღვინო გაიგზავნოს; 3) რადგან რესტორანში 50 კაცამდე მოსამსახურეა, რომ იმათ ლუკმა პური არ დაეკარგოთ, 10 დღის შემდეგ რესტორანი უნდა გაიღოს; 4) შუამდგომლობა აღიძრას მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს წინაშე, რომ რესტორანში მოსამსახურეთაგან შესდგეს საგანგებო კომისია რესტორანის გასაძღოლად, ხოლო თუ მოსამსახურეები ამას არ იკისრებენ, ასეთი კომისიის შედგენა დაევალოს მოსამსახურეთა პროფესიონალ კავშირს; 5) შუამდგომლობა აღიძრას ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რომ გონიევს 6 თვით აეკრძალოს ვაჭრობა.

◆ **რედაქციისაგან:** ამა წლის „საქართველოს" 94 ნომერში დაიბეჭდა დეკ. ნ. თალაკვაძის წერილი—„ქართულ მონასტერთა რევიზიის გამო". ამ წერილის გაგრძელება-დასასრული ავტორისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო აღარ დაიბეჭდება.

◆ **მრეცხავთა გაფიცვის გამო.** მოსამსახურეთა პროფესიონალ კავშირის საბჭომ წინადადება მისცა სამრეცხაოების პატრონთ, რომელთა მუშა-მრეცხავები გაფიცული არიან, სადავო საკითხი მომრიგებელ კამერას გადასცენ გადასაწყვეტად. ხოლო თუ ისინი ამის თანახმანი არ გახდებიან, გაფიცვა უნდა გაგრძელდეს.

◆ **სურსათ-სანოვაგე.** ქალაქის გამგეობის სახელზე ბევრნაირი საქონელი მოსულა თბილისში. ეს საქონელი წინად ყოფილა დაკვეთილი გამგეობის მიერ. მაგრამ რადგან ეხლა სასურსათო გამგეობა აღარ აწარმოებს, საქონელს აღარავინ კითხულობს რკინის გზის სადგურზე. სამხედრო მიმოსვლათა უფროსის შეკითხვაზე—რატომ საქონელი არ გაგაქვთ სადგურიდანო—გამგეობამ უპასუხა, რომ სასურსათო საქმეს ამ ჟამად ქალაქის კომიტეტი განაგებს და საქონელი იმან უნდა მიიღოსო.

◆ **ახალი დაწესებულება.** თბილისში არსდება მე-2 სამხედრო „პრისუტსტვიე", რომლის თავმჯდომარედ, ჯერ კიდევ არსებულ კანონის ძალით, ქალაქის მოურავი იქნება.

◆ **ბანკის ახალი შენობა.** თბილისის სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ 1914 წელს ბანკისათვის ახალი შენობის ასაგებად 305,000 მან. გადასდო. 1916 წელს საჭირო გახდა ეს თანხა გადიდებინათ 441,000 მანეთამდე. მაგრამ, ყოველგვარ მასალისა და მუშის ქირის გადიდების გამო, ეს თანხაც არ ეყო და ბანკის გამგეობას დაუხარჯავს შენობაზე ზედმეტი 56,000 მან. და გარდა ამისა კიდევ საჭიროა 100,000 მანეთი. ამ რიგად პირველად გადადებულ თანხაზე მეტი იხარჯება 292,000 მან. და მთელი შენობა ჯდება 597,000 მანეთი, რაიცა ეხლანდელ დროში ძვირად არ ჩაითვლება.

◆ **სახლის ჩამოქცევა.** გუშინ, მაისის 24-ს, ნავთლუღში, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ, აგურის სახლის კედელი ჩამოიქცა და ერთი ქალი გაჭყლიტა.

◆ **მ. ნ. ათაბეგოვის** თანამდებობიდან გადადგომის გამო, ქალაქის გამგეობის პირველი განყოფილების გაძღოლა დაეკისრა გამგეობის წევრს ჯაბარს.

◆ **მცხოვრებთა აღწერა.** თბილისის მცხოვრებთა აღწერა, რაიცა საჭიროა ქალაქის არჩევნებისათვის, მოხდება მაისის 28, 29 და 30-ს.

◆ **ქალაქთა კავშირის კრედიტი.** თბილისის სახაზინო პალატამ განკარგულება მიიღო პეტროგრადიდან, რომ ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას 1.793,909 მან. კრედიტი გაუხსნითო.

◆ **სენატორი რუაძე.** თბილისში ჩამოვიდა სენატორი რუაძე, რომელსაც იუსტიციის მინისტრისაგან დავალებული აქვს გამოიძიოს თბილისის სამოსამართლო პალატის იმ დროინდელი მოქმედება, როცა პალატის თავმჯდომარედ იყო სენატორი ნ. ნ. ლაგოდა და პალატის შემადგენლობას თავისი სურვილების შესრულებას უფრო უკარნახებდა, ვიდრე კანონებისას. სენატორი რუაძე უკვე იყო პალატაში და იქ, სხვათა შორის, ვექილთა საბჭოს ზოგიერთ წევრებს გაეცნა. რუაძეს თან ჩამოჰყვა სამოსამართლო უწყების რამდენიმე მოხელე, რომელთაც სენატორი გამოძიების დროს დაიხმარებს.

◆ **ქალაქის ფინანსები.** ქალაქის გამგეობის წევრის გ. ჟურულის თაოსნობით ამ დღეებში თათბირი ექნებათ გამგეობის წევრებს, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას და საგანგებოდ მიწვეულ ადგილობრივ ბანკების ხელმძღვანელებს ქალაქის ფინანსიურ გაჭირვებისა და ღონისძიების გამოსაძებნად. ქალაქის დეფიციტი 3 მილიონ მანეთს უდრის და გ. ჟურული, როგორც გამგე საფინანსო განყოფილებისა, ყოველიგე ღონეს ხმარობს დროზე გამონახოს შესაფერისი საშუალებანი ხარჯების გასაძღოლად.

◆ **თბილისის სადგილ-მამულო** სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება. კრება მოხდა მაისის 2-ს. თავმჯდომარეობდა გ. გვაზავა. განხილულ და დამტკიცებულ იქმნა ბანკის 1916 წლის ანგარიში. წლიური ბალანსი ანგარიშისა უდრის 61.161.022 მან. 14 კაპ. წმინდა მოგება დარჩენილა 610 486 მან. 42 კაპ. შემდეგ განხილულ და დამტკიცებულ იქმნა 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც ხარჯი ნავარაუდევია 343.478 მან. 60 კაპ. აგრეთვე კრებამ მოისმინა გამგეობისა და კომისიების რამდენიმე მოხსენებანი და შეიწყნარა. ბოლოს მოხდა არჩევნები. ბანკის დირექტორად არჩეულ იქმნა ისევ ს. რ. ჯახვახიშვილი. დამფასებელ კომისიის წევრებად ისევ ლ. ლ. ჩერქეზიშვილი და ნ. დ. ერისთავი, და ზედამხედველ კომისიის წევრებადაც ძველები—გ. დ. ჟურული, ი. ი. ზურაბიშვილი და ა. ნ. ჭავჭავაძე.

◆ **თბილისის მილიციის უფროსის** თანაშემწედ დაინიშნა ა. ი. ტატიშვილი.

◆ **უცხოებით ფულის შეგროვების** ნებართვას თბილისში იძლევა მხოლოდ თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი.

◆ **მგზავრთა და მეეტლეთა** შორის მომხდარ უთანხმოების გადაწყვეტა მინდობილი აქვს მეეტლეთა ბიუროს.

◆ **ლატარია-ალეგრი.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობა თავის ქონებრივ სახსარის გასაძლიერებლად სეირნობას ლატარია-ალეგრით გამართავს სასახლის ბაღში კვირას, მაისის 28-ს.

◆ **თბილისის სახელოსნო სასწავლებელში** კურსი დაამთავრა წელს და ატესტატები მიიღო 15 ახალგაზდამ. სასწავლებლის დირექტორი ინჟინერი ოკუნევი თანამდებობიდგან გადადგა.

◆ **ყრილობა.** მაისის 14-ს გაიხსნა მაჰმადიან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობა. კრებები ყოველ დღეა. როგორც გავიგეთ ყრილობა ამ დღეებში დასრულდება.

◆ **საფუთო გადასახადი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა, რომ თბილისში შემოტანილ საქონელს ფუთზე დაადვას გადასახადი 5 კაპ. რაიცა 15 ათას მანეთამდე შემოსავალს მოუმატებს ქალაქს. ეს დადგენილება განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს.

◆ **გ. კაპანელის წიგნი.** რედაქციას მოუვიდა ახალი წიგნი: К. Г. Капанели. Страданіе и творчество. Фрагменты". გამოცემა ლ. მ—ასი. წიგნი შეიცავს 195 გვერდს. კარგად არის გამოცემული, ღირს 2 მან. 50 კაპ.

◆ **ქალაქთა კავშირის დელეგატების ყრილობა.** მაისის 22-ს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, დაიწყო ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების მოსამსახურეთა დელეგატების ყრილობა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ა. გ. ბებურიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგებად—ა. კალიუჟნი და ექ. ოკანშვილი, მდივნებად—არ. ავალიშვილი, ვოლფზონი, აბელიანი და მარქარიანი. კრება რამდენიმე დღეს გასტანს.

## ქუთაისი.

◆ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** ქუთაისის ჯარის კაცთა საბჭომ მიიღო ცნობა, რომ ჩამოსულან სომხები და მაჰმადიანები იარაღის შეძენის განზრახვით და ამჟამად სასტუმროში ბინადრობენო. ჯარის კაცთა საბჭომ გაგზავნა კაცები მათ გასაჩხრეკათ. სასტუმრო „ევროპას" ერთ ნომერში ნახეს იარაღი და პატრონები. შემდეგ გაჩხრიკეს სასტუმრო „ერმიტაჟი". ამ ჩხრეკით უსარგებლნია ვიღაც ორს, ჯარისკაცის ფორმით შესულან „გრანდ-ოტელის" ნომერში, იქ მათ თავისით გაუჩხრეკიათ სასტუმროში ჩამომხტარი ერთი სომეხი, რომლისთვისაც, როგორც დაზარალებული ამბობს 3,500 მანეთი წაურთმევიათ, სასტუმროს მოსამსახურემ იცნო ის პირი, ვისაც ბრალდება ფულის წართმევა. ამავე დროს ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში შეიქნა რევოლვერების სროლა. დაშავებული არავინაა. დაპატიმრებულნი არიან ის პირები, რომელთაც იარაღი უნახეს.

◆ **ახალი რკინის გზა.** ინჟინერი კოვალსკი ტელეგრაფით აცნობინებს ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ მას ამიერ კავკასიის განსაკუთრებულმა მთავარმა კომიტეტმა ნება დართო შეადგინოს გეგმა საჯავახოდან ერკეთამდე რკინის გზის გაყვანისა.

◆ **არჩევნები საურთ. ნდობის საზოგადოებაში.** კვირას 21 მაისს ქალაქის გამგეობის შენობაში მოხდა ქუთაისის ვაჭართა და მცხოვრებთა კრება საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში თავმჯდომარის ასარჩევად. ყუთი დაიდგეს ბ. ბ. ალექსანდრე საყვარელიძემ, იოსებ კემულარიამ და კრინიცკიმ. ალ. კრინიცკიმ მიიღო 120 თეთრი და 120 შავი კენჭი; იოსებ კემულარიამ 101 თეთრი და 139 შავი; ალექსანდრე საყვარელიძემ 138 თეთრი და 99 შავი. საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ალექსანდრე საყვარელიძე.

◆ **ვაჭრების წარმომადგენლები მომრიგებელ კამერაში.** თანახმად ქუთაისის მუშათა დეპუტატების საბჭოს წინადადებისა, ადგილობრივ ვაჭარ, მოხელე, და მრეწველთა საზოგადოებამ 18 მაისს საზოგადო კრებაზე თავის რწმუნებულებათ და ინტერესების დამცველათ, მომრიგებელ კამერაში დასასწრებლად აირჩია შემდეგი პირები: მიტ. ლალიძე, ნიკ. კილოსანია, ვას. ბეჟანიშვილი, იოს. გვეტაძე, მიხ. კასუმოვი, ალ. ვასაძე, ვას. ტყეშელაშვილი, ფ. ფილიპოვი, მაქ. ზვიადაძე, მ. უკრაინცევი, მიხ. ჭავჭანიძე, მ. ჩიკვაშვილი, გ. შოთაძე, ბ. მოსეშვილი და გ. გორდაძე.

## ბათომი

◆ **სამაჰმადიანო საქართველოს დელეგატთა ყრილობა** 14 მაისს გაიხსნა. ერთ-ერთ სხდომას დაესწრო სახელმწიფო სათათბიროს წევრი აკაკი ჩხენკელი, რომელიც კრებას მიესალმა ლამაზი სიტყვით. კრებამ აურაცხელი ტაშით დააჯილდოვა დეპუტატი.

სხდომები ყოველ დღეს ხდება. დელეგატების რიცხვი 52-დის აღწევს. როგორც გადმოგვცეს ყრილობა ამ დღეებში დასრულდება.

## პროვინცია.

◆ **ქურდების დაჭერა.** სოფ. ბაკურციხეში აღმოაჩინეს საკრედიტო ამხანაგობის კასის გამტეხნი. შეიპყრეს და დანაშაულობაში გამოტყდნენ.

◆ **ამინდი.** სიღნაღის მაზრაში დაჟინებული წვიმებია. მოსავალს აღარ აცლის ფეხზე წამოდგომას. სეტყვამ ძლიერ გააფუჭა მოსავალი და უფრო ძალიან ვენახები დაზარალა.

◆ **ექ. მაჭავარიანის დატუსაღება.** მაისის 18 ზესტაფონში გაჩხრიკეს, დაატუსაღეს და თბილისში წაიყვანეს ექიმი დავით მაჭავარიანი. მიზეზი ჯერ გამოურკვეველია.

◆ **სოფლის კომიტეტების ახალი არჩევნები** შორაპნის მაზრაში თითქმის დამთავრდა.

◆ **მედავითნეების კრებამ თელავში,** რომელიც მოხდა 26 აპრილს სასულიერო სასწავლებელში, დაარსა რა სამაზრო და სარაიონო ორგანიზაცია, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1) წარმოება ყოველგვარი ეკონომიური და პოლიტიკური საქმეებისა, 2) სრულიად უცვლელად დაცვა 1905 წ. მოთხოვნილებისა, რომელიც წარდგენილ იქმნა ამავე წელს სამღვდელოების დიდ კრებაზე. ეს დადგენილება უნდა ეცნობოს თბილისის დიაკვნების და მედავითნეების ცენტრალურ ორგანიზაციას და აგრეთვე სრულიად საქართველოს კათალიკოსის დროებით მართველობის წევრებს.

◆ **სოხუმის ოლქის სამღვდელოების კრება.** გუშინ, 24 მაისს ქ. სოხუმს გაემგზავრა ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ნაკაშიძე. მას რიონის სადგურზე დახვდნენ თბილისიდან მომავალნი: გენერალი ვ. დ. გაბაშვილი, პართენ ალექსანდრეს ძე გოთუა და ი. ვ. აფაქიძე დასახელებული პირები მონაწილეობას მიიღებენ 25 მაისს სოხუმის ოლქის სამღვდელოების და ხალხის წარმომადგენელთა კრებაში, რომელიც მოწვეულ იქნება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კითხვის შესახებ სათათბიროდ.

◆ **სოფ. კულაში** (ქუთაისის მაზრა) 13 მაისიდან გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

◆ **ტყიბულის კომისარი** აცნობებს ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს რომ ტყიბულის მხარეში ძლიერ გაზირდა საქონლის ფასი, ზომები კი არავითარი არ არის მიღებული. კომისარი მოითხოვს ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

—

## შეცდომის გასწორება

გუშინდელ №-ში დაბეჭდილ წერილში „ეროვნული საქმიანობა და მოწყალების თხოვნა" შეცდომები: სწერია: 1) ქართულ სახელმძღვანელოებს ეხლა ხომ უკანასკნელი ბაზარი გაუჩნდა. უნდა იყოს: [illegible] ბაზარი და [illegible] 2) [illegible] ქ. ქუთაისმა, როგორც გავიგეთ 1800 ცალი ითხოვა ს. იაშვილის წიგნისა, უნდა იყოს ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ...

# ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

**დეპეშა**

**თელავი.** მაისის 25. თელავის მაზრის ეროვ.-დემოკრ. საპარტიო კონფერენციაზე მაზრის სხვა და სხვა ადგილებიდან მშრომელ გლეხობის დელეგატები არიან მოსულნი. კონფერენცია, მიესალმება რევოლუციონურ საქართველოს და მის ინტერესების დამცველს, პარტიის თბილისის კომიტეტს, უსურვებს მას სიკეთეს და მრავალ-ტანჯულ სამშობლოს საკეთილდღეოდ ნაყოფიერ მუშაობას.

**კ რ ე ბ ა.**

ნაძალადევის ეროვნ.-დემოკრატიის პარტიის კომიტეტი მოაგონებს თავის უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთ, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, საეკლესიო სკოლაში გაიმართება მორიგი პარტიული კრება.

# მასწავლებელთა მომზადების საკითხი

დიდძალი მასწავლებელი დასჭირდება ქართველობას ახალ გაეროვნებულ სკოლებში მომავალ ენკენისთვიდან. საჭიროა მრავალთათვის მომზადება ქართულ სკოლაში სამასწავლებლოდ. ჟამისოდ საქმე რიგიანად ვერ წავა. მეტად საჭიროა ქართულ გრამატიკის, ისტორიის და ლიტერატურის ცოდნა. ვინ არ იცის, რომ ჩვენებურს რუსულს გიმნაზიებსა და სხვა საშუალო სასწავლებლებში აბუჩად აგდებული იყო ქართული ენა, ლიტერატურის და ისტორიის სწავლება კი ბევრგან აკრძალული იყო და თუ სადმე ამ საგნებს ასწავლიდნენ, იქ გაკვეთილთა მცირე რიცხვის გამო მათი საბუთიანი შესწავლა შესაძლებელი არ იყო. ამის გამო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დიდი სიფრთხილით მოქცევა პირველ ხანად მაინც იმ საკითხის გადაწყვეტის გამო, თუ ვინ უნდა იქმნას მოწვეული ქართულ სკოლაში პასუხსაგებ თანამდებობაზე. ამ საკითხს ერთი პასუხი აქვს: უნდა მოიწვიონ ის, ვისაც აქვს ქართულ ენის, ისტორიის და ლიტერატურის ცოდნა, ვისაც ეს საგნები სასწავლებლებში უსწავლია, ასეთი სასწავლებლები გვაქვს,—სასულიერო უწყების სემინარიები და საეპარქიო საქალებო სასწავლებლები, სადაც საბუთიანად ასწავლიან ქართულ საგნებს. აი ამ სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი არიან ფრიად სასურველი კანდიდატები ქართულ სკოლისათვის, მათი კანდიდატურა პირველ რიგში უნდა იქმნას დასმული.

ი. ფერაძე.

# რა სჭირია საქართველოს ეკლესიას?

**წერილი მეხუთე.**

საქართველოს ეკლესიას სჭირია დემოკრატიული სამღვდელოება და ერი. ეკლესია უნდა კვალ და კვალ მისდევდეს ცხოვრებას, აუღოს მას ალღო და სულისკვეთება ერისა უნდა იქნეს მისი მიზანი. ესრეთი მიმდინარეობა მისი ყოველს დროს გამოუხატავს, ამ გზას იგი ვერ ასცდება ვერც ამ მომენტში, როცა რევოლიუცია მოდებული ყველგან და ყველა სფეროში.

რუსეთში უკვე დაარსებულია დემოკრატიული მართლ-მადიდებელი სამღვდელოების და ერისკაცთა კავშირი, რომელსაც რიცხვმრავალი წევრი ჰყავს. ამ კავშირის მიზანი ყოფილა სრული გაერთიანება სამღვდელო და საეროთა ცხოვრების ყოველ მხარეებში. ერთი საუკუნის განმავლობაში რუსეთის ეკლესიასთან ერთად გათქვეფა საქართველოს ეკლესიაც, სესხებით გადმოიღო და დანერგა ის ლოზუნგები, რომლითაც ხელმძღვანელობდა პოლიციური სამღვდელოება რუსეთისა. ამ ჟამად ჩვენშიაც ისეთს გზას უნდა დაადგეს სამღვდელოება და ერი რევოლიუციონურ რუსეთში. თავისუფალ რუსეთში მყოფი თავისუფალი ქართველი სამღვდელოება და ერი ხელი-ხელ ჩაკიდებული, მწყობრად დარაზმული, ერთს მიზანს, ცხოვრებისათვის გამოსადეგს, უნდა ემსახურებოდეს: მწყემსი მწყემსობდეს და სამწყსო მასთან იყოს განუყრელად.

ეკლესიის და სამშობლოს ხსნისათვის რუსეთის სამღვდელო და საერო დემოკრატიულს კავშირს წამოუყენებია შემდეგი დებულებანი;

I. **ეკლესიის დემოკრატიზაცია**, ე. ი. სრულ უფლებიანი მონაწილეობა ეკლესიის ცხოვრებაში ყველა მისის წევრისა: ერის და ბერის. ამისათვის კი საჭიროა, ამბობენ წევრნი: ა) დაუყოვნებლივ ერთობა დაწყებული მრევლიდან ეკლესიის კრებამდე; ბ) არჩევითი წესი: არჩევა ეპისკოპოზისა, მღვდლისა და დიაკვნისა; გ) ეპარქიის მართვა-გამგეობის ორგანიზაცია არჩევნებითი წესზე: დ) აქტიური მონაწილეობა მრევლისა მრევლის ცხოვრებაში. სამრევლო საბჭოები, როგორც ცენტრალური ორგანო მრევლისა; ღვთის მსახურებისა, ასე რომ ხალხის გასაგები იყოს, სამქადაგებლო წრეების ორგანიზაცია ტაძარში და მის გარეშე და ორგანიზაცია ქრისტიანულ-კულტურულ - განმანათლებელ და საკველმოქმედო დაწესებულებათა.

II. **დემოკრატიზაცია პოლიტიკური**, ე. ი. ხალხის ერთობით უფლება უნდა ჰქონდეს თვისის სახელმწიფოს ნამდვილი ბატონ-პატრონი იყოს. ამისათვის კი საჭიროა დემოკრატიული რესპუბლიკა. უკეთუ ეკლესია მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს არ ნიშნავს ეკლესიის პოლიტიკურ კრებულად გარდაქცევას. ამ შემთხვევაში ეკლესია არც მარჯვენა იქნება და არც მარცხენა, არამედ ყოფილა, არის და იქნება ქრისტესი. სასულიერო პირნი, არა როგორც ეკლესიის წევრნი, არამედ როგორც სრულ უფლებიანი მოქალაქენი ტაძრის გარეშე შეუძლიათ ეკუთვნოდენ რომელიმე კავშირს, რომელიც ქრისტიანობას არ ეწინააღმდეგება.

III **დემოკრატიზაცია სოციალური.** ქრისტე ამბობდა: „ყველა თქვენ ძმები ხართო“ (მათე 23, 8). მაშასადამე: ა) უნდა მოისპოს წოდება; ბ) გახდეს ქალთა უფლებრივი გათანასწორება; გ) აბსოლიუტური თავისუფლება აზრისა, სიტყვისა და სინდისისა; დ) სავალდებულო უფასო სწავლა; ე) დედაენაზე სწავლა.

**დემოკრატიზაცია ეკონომიური** მდგომარეობს შემდეგში: ა) სამართლიანი გათანასწორება შრომასა და კაპიტალს შორის, ნაშრომის მოგებაში მუშებისაგან მონაწილეობის მიღება, საარტელო წესი მრეწველობაში, მიწა უნდა გადაეცეს მშრომელს ელემენტს.

IV **დამოკიდებულება ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის.** სრული ავტონომია ეკლესიის შინაური ცხოვრების მოწყობის საქმეში.

V **ეკლესიის და სკოლის შორის დამოკიდებულება:** საღვთო სჯული უნდა ისწავლებოდეს ყველა სარწმუნოების აღმსარებელთათვის, მაგრამ ეს საგანი სავალდებულო არ უნდა იყოს ბავშვებისათვის.

აი ის მთავარი ლოზუნგები, რომლებითაც ხელმძღვა ნელობს რუსეთში ზემოხსენებული კავშირი.

ასეთი კავშირი ჩვენს ქვეყანაში მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ სხვა პირობებში გვიხდება ცხოვრება. ჩვენი ეკლესია ახლა შესდგა განახლებულ გზაზე, ახლა იწყებს ცხოვრებას. ძველს, დამოუკიდებელს, დროში რაც რამ კარგი, ცხოვრების პირობებთან შეფარდებული ჰქონია, მან ამ ჟამად სავსებით უნდა განახორციელოს და აქედამ კიდევ ისეთი რამე შეჰმატოს, რაც მისთვის მიუცილებელია, თუ უნდა გახალხოსნდეს, ერის სულიერი და ხორციელი დედა გახდეს. გაუმჯობესებულ ცხოვრების მოწესრიგებისათვის დიდი დრო, უნარი და მეცადინეობაა საჭირო, მაგრამ თუ ერთბაშად არა, თანდათანობით მაინც შეიძლება მოგვარდეს ცხოვრება დემოკრატიულ პრინციპზე აგებული. დემოკრატიზაციის ზოგიერთი პრინციპების ცხოვრებაში გატარებას უკვე შეუდგა ჩვენი ეკლესიის დროებითი მართველობა, როგორიცაა მაგალითად არჩევნები სამრევლო და საოლქო საბჭოებისა, მღვდელ-დიაკვნისა და სხვა. შემდეგში იმედია მუყაითობას გამოიჩენს სასურველ ნიადაგზე შესდგეს და გზიდან გადავარდნილი ეკლესია სამღვდელო და საეროს შეთანხმებული შრომით გამოვიდეს გაყინული წერტილიდან, გადასცუროს ზღვა და მიადგეს ნავთსაყუდელს.

ქ. გძელი.

## მივიწყებული კუთხე

ორი წლის წინად ამ სტრიქონების დამწერმა რამდენიმე წერილი მოვათავსე გაზ. „საქართველოში“ საინგილოს აწინდელ უნუგეშო მდგომარეობაზე და მოვუწოდებდი ქართველ საზოგადოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცია ჩვენი ქვეყნის მდიდარ კუთხისათვის, რომ საერთო აღორძინების დროს, როდესაც ყველა შეგნებული

ური ძალას იკრებს ხოლმე და აჩქარებული ტემპით მიეშურება ეროვნულ იდეალების მისაღწევად, ძველებურად არ დავქსაქსულიყავით და გავრიყულიყავით. ჩვენ ვაუწყებდით ქართველ ხალხს სავაგლახო პროცესს—ინგილოთა გადაგვარებას—რომლის უმთავრეს ფაქტორად ვასახელებდით თურქ-მოლების პანისლამიზმის პროპაგანდას. სამწუხაროდ, ზოგმა შეუსაბამო დასკვნა გამოიყვანა ჩვენს-მიერ გამოთქმულ აზრებიდან: ჰეიდარ ბეგ აბაშიძემ „სამშობლოში“ გვისაყვედურა ეროვნული შუღლის თესვა და ის აზრი მოგვახვია თავს, ვითომც ჩვენ გვსურდეს მაჰმადიან-ინგილოთა გადანათვლა! პირიქით, ჩვენ საჯაროდ გავკიცხეთ მისიონერების მოწყობა საინგილოში; ჩვენ კატეგორიულად გამოვაცხადეთ, რომ მისიონერების დაარსებამ არამც თუ არავითარი სარგებლობა არ მოუტანა საინგილოს, თუნდაც ვიწრო რელიგიურ მხრივ, არამედ დააშორა ჩვენი დირსეული თანამემამულენი საქართველოს და ხელი შეუწყო იმ ყოვლად შეუწყნარებელ მოვლენას, რომ დღეს ინგილოთა გონებას ვერ განურჩევია ეროვნება და სარწმუნოება!

საქართველოს აღდგენის და გაერთიანების მოტრფიალეთ ერთად-ერთი განზრახვა აქვთ: შემოიკრიბონ სამშობლოს დროშის ქვეშ ყველა ქართველნი! მოსაფიქრებელია განა, რომ მომავალმა საქართველოს მართველობამ აღიაროს რომელიმე სარწმუნოების პრიმატი და დაამყაროს ქართველთა უფლებრივი მდგომარეობა ამა თუ იმ სარწმუნოების კუთვნილების პრინციპზე? ერთი იდეა გვასულდგმულებს და გვამეტყველებს დღეს ჩვენ, ერთ აზრს ვემსახურებით და მის განსახიერებისაკენ მივილტვით ყველანი—ეს გახლავთ საქართველოს სამკვიდრებელის აღდგენა, საქართველოს მთლიანი სახის განმტკიცება! კათოლიკე და მართლმადიდებელი, მაჰმადიანი და გრიგორიანი—ყველა ქართველი თავის სამშობლოს უზენაეს ხელმწიფობის სრულ-უფლებიანი წევრი შეიქნება! ეს ყველასათვის ცხადია, ვინც კი წინასწარ აზრით არ არის დაბრმავებული.

დროთა ბრუნვამ დაჩეხა საქართველოს მთლიანი სახე, ხოლო შემდგომ ჟამს რუსეთის დესპოტიის ბასრმა ბრჭყალებმა განსაცდელი განუმზადა თვით ქართველობის იდეას. ილაჯგაწყვეტილი, შეძრწუნებული ერი ჰგრძნობდა, რა საფრთხე მოელოდდა საქართველოს არსებობას, ხედავდა, რაგვარი სისწრაფით იფუშებოდა საუკუნოების განმავლობაში მწყობრად აგებული სახელმწიფოს სხეული, მაგრამ ტირანიის ჩარჩოებში ჩაწყვდეულს შეეძლო განა აღსდგომოდა დაუნდობელ ავაზაკურ მოქმედებას?

ერის ნგრევის პროცესსი—გადაგვარებად წოდებული—პირველ ყოვლისა მოედო საქართველოს განაპირა კუთხეებს და ყველაზე ძლიერ საინგილოს, სადაც სარწმუნოების სიკეთის არევ - დარევამ დენაციონალიზაციას ნიადაგი მოუმზადა და საქართველოს მტრებს გაუადვილა მოშხამულ აზრთა შთანერგვა. ილუპებოდა ძველი ჰერეთი.

რუსეთის დესპოტიის დათურგვნამ იმედი მოგვცა, რომ აწ მაინც შეჩერდებოდა საზარელი სანახაობა მოძმეთა გადაგვარებისა! საქართველოს ერთგულნი შვილნი მხნედ შეუდგნენ ეროვნულ აღორძინების ქადაგებას და იქ, სადაც „დამოუკიდებელი მიზეზები“ არ აფერხებდენ მათ მოქმედებას, მხურვალე ხოწოდებამ რეალი ნაყოფიც მოიტანა. მაგრამ იმ თავიდანვე მივიწყებული საინგილო არც ამ ჟამად აგონდებოდა ვისმე; არ ვაძლევთ ჩვენს თავს ანგარიშს, როგორ თუ სადმე საჭიროა საღ ეროვნულ-პოლიტიკურ იდეების მიწოდება, ზაქათლის ოლქში ამგვარი აუცილებელ მოთხოვნილებას ქადაგება შეადგენს, რადგან ყოველი დაგვიანებული დღე აუნაზღაურებელ შედეგებს გვიქადის.

დროზე უნდა მივეხედა საინგილოსათვის, უნდა ყოველ დღე, მუდმივ გვეძახა, რომ ინგილო-მაჰმადიანები და ინგილო-ქრისტიანები—ძმები არიან, ქართველნი სისხლითა და ხორცით, უნდა ჩაგვეგონებინა უმეცართათვის, რომ სარწმუნოებრივი გამოყოფა არ გულისხმობს ეროვნულ სხვა და სხვაობას. ქართველობის დამკვიდრება საინგილოში დღეს ფაქტიურად უნდა მომხდარიყო და, ვინ უწყის, იქნებ, არც ფედერალისტებს დასჭირდებოდათ რეალ მოსახლეობის პრინციპის თანახმად ზაქათლის ოლქის ნაწილისათვის მედიდური პლებისციტი!?

დაუდევნელობამ და უზრუნველობამ საზარელ მოვლენის წინაშე დაგვაყენა! ის თავსზარდამცემი ამბავი, რომელიც სოფელ კახიდან მოგვივიდა, ყოველ ქართველს ისარივით ჩაესობოდა გულში! იგი ნათელ ჰყოფს, რომ საქართველოს მარად მზიან კუთხეს, ძველად მის შეურყეველ ბურჯს, ჭირში და ლხინში ერთგულ და უშიშარ მეგობარს, დღეს—სამშობლოს თავისუფლების განთიადს—ძალმომრეობით თავისუფლებას უხშობენ!!

გავითვალისწინოთ მდგომარეობის საშინელება და დავეხმაროთ „მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარ მდინარის“ გაღმა მცხოვრებლებს.

რ. ინგილო.

## კორესპონდენცია

### მიტინგები მესხეთში.

აპრილის 24, ნაშუადღევს, ჩვენ გავემგზავრეთ სოფ. ღრელში, რომელიც ქ. ახალციხიდან 5 ვერსის მანძილზე მდებარეობს და ქრისტიან ქართველებით არის დასახლებული. ხალხმა რომ ჩვენი მისვლა გაიგო, მალე შეგროვდა დიდით-პატარამდე, ქალით-კაცამდე. მიტინგი გაიმართა. ყველა ყურადღებით გვისმენდა. ყველა ერთხმად მოითხოვს საქართველოს ავტონომიას, მიტინგმა ორ საათს გასტანა. შემდეგ ხალხმა რამდენიმე შესმენილი კაცი აირჩია და ამათ დაწვრილებით გავაცანით ჩვენი პროგრამა. საუბარმა თითქმის შუაღამემდის გასტანა. ბევრი ადგილობრივი საკითხები წამოგვიყენეს, ბევრი დარდი და ნაღველი ტრიალებს გლეხკაცის გულში...

მეორე დღეს აქედან გავემგზავრეთ სოფ. ანდრიაწმინდისაკენ, სადაც 60 კომლი ქართველობა სცხოვრობს. გზად ორი პატარა სოფელი დაგვხვდა ამ სოფლებში ქართველი მაჰმადიანობა სცხოვრობს. მათ ქართული ენა უკვე დავიწყებული აქვთ და ფანატიზმით არიან მოცულნი. ანდრიაწმინდაშიც მიტინგი გავმართეთ. ავტონომიის იდეიამ აქაც ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. მიტინგმა და საუბარმა დაღამებამდის გასტანა. ღრელსა და ანდრიაწმინდის ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარეობს შესანიშნავი საფარის მონასტერი, სადაც რუსის ბერები სცხოვრობენ. ამ ბერებს ორთავე სოფლისათვის, ბევრი სახაზინო მიწა ჩამოურთმევიათ და მიუსაკუთრებიათ. გლეხობა მოითხოვს, რომ ეს მიწა უკან დაუბრუნდეთ.

ანდრიაწმინდიდან სოფ. მუსხისაკენ გავსწიეთ. გზიდან ორი სოფელი მოსჩანს: წყორძა და ურაველი. ამ სოფლებშიაც გამაჰმადიანებული ქართველობა სცხოვრობს. სამწუხაროდ, ამათაც ქართული ენა თითქმის დავიწყებული აქვთ. წყორძაში დღესაც ორი მშვენიერი პატარა ჩუქურთმებიანი ეკლესია სდგას. ურაველი ტყიან ფერდობზეა გაშენებული და ნაქებია თავისი სამკურნალო რკინის წყაროთი. ახალციხის შეძლებული ნაწილი ზაფხულობით აქ მოდის საავარაკოდ. სოფ. მუსხი მტკვრის მარცხენა ნაპირის მაღლობზეა გაშენებული, მცხოვრებთა რიცხვი 80 კომლს უდრის. ხალხს ველაპარაკეთ დღევანდელ მომენტის შესახებ, დამფუძნებელ კრების მნიშვნელობაზე, ვრცლად განვმარტეთ საქართველოს ავტონომიის მნიშვნელობა, მიწის საკითხი და სხვა. ხალხი აქაც ყურადღებით გვისმენდა და დიდის აღტაცებით მიეგება ჩვენი სამშობლო ქვეყნის თვითმართველობის იდეიას. მიტინგმა ბინდამდე გასტანა.

მეორე დღეს დილით მუსხიდან სოფ. ძველში ავედით. ამ სოფელში სულ 65 კომლი სცხოვრობს, 40 კომ. ქრისტიანი და 25 კომლიც ქართველი მაჰმადიანობა. აქედან ერთი ვერსის მანძილზე ძევს სოფ. ჭობარეთი, სადაც 50 კომლი ქრისტიანი და 30 კომლი მაჰმადიანი ქართველობა მოსახლეობს. მაჰმადიანებმა ქართული კარგად იციან. მივედით თუ არა, მთელმა სოფელმა მაშინვე გაიგო, ერთობის მქადაგებლები მოსულანო და ზარის ხმას უცდიდენ, რომ შეკრებილიყვნენ. ნაშუადღევს ჭობარლები ძველში გადმოვიდნენ, ზარის ხმამ ყველანი შეკრიბა და მიტინგი დაიწყო. აქ, სხვათა შორის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ძმობაზედაც გვქონდა ლაპარაკი. სამშობლო ქვეყნის თვითმართველობის იდეიამ, როგორც ქრისტიანებში, ისევე მაჰმადიანებში დიდი კმაყოფილება გამოიწვია. მიტინგის შემდეგ აქაც ხალხმა შესმენილი კაცები აირჩია და ჩვენც დაწვრილებით აუხსენით ყველაფერი. ხალხი ბინდისას დაიშალა, ხოლო საუბარი კი ამორჩეულ პირებთან დიდხანს გაგრძელდა. დიდია გლეხკაცის წყვილები, მას დიდი დახმარება ესაჭიროება. ჩვენებურმა მასწავლებლებმა კი ნაადდგომისვე შესწყვიტეს სკოლებში სწავლა და მის მაგივრად, რომ სოფელს დახმარებოდენ თავიანთი ცოდნით, მათ ქალაქისაკენ მიაშურეს და სოფლად აღარც დაბრუნებულან.

ძველიდან 10 ვერსის მანძილზე სძევს სოფ. ერკოტა და ჩვენც დილით აქეთ გავსწიეთ. ტყიანი გზაა. ამ ათიოდე წლის წინედაც გამივლია ამ გზით, მაშინ ტყე უფრო ხშირი იყო, დღეს კი, მის მოქრთამე მცველთა წყალობით, ძალიან შეთხელებულა. მაღლობიდან მტკვარი მოსჩანს. მტკვრის გაღმა ფერდობებზე რამდენიმე სოფლებია მიკრული: იდუმალა, ოშორა, ასპინძა და სხვ. ამ სოფლებში ქართვ. მაჰმადიანები სცხოვრობენ. ტყეს გავსცდით და სოფლებში ჩამოვედით. ერკოტაში სულ 40 კომლამდე მცხოვრებია. მის ახლოს სოფ. დადეში სძევს, სადაც 60 კომლი მოსახლეობს, სულ ქრისტიანები არიან. მეორე დღეს დილით დადეშლები ერკოტას გადმოვიდნენ, ყველანი ერთად შეიკრიბნენ და მიტინგი გაიმართა, მიტინგმა სამ საათს გასტანა. ვილაპარაკეთ დამფ. რკებაზე, დემოკრ. რესპუბლიკაზე, ეროვნულ თვითმართველობაზე და სხვ. გარდა ამისა, გლეხებს ნათლად დავუსურათეთ ტყის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებისათვის და გავაფრთხილეთ, რომ ტყეს მოუარონ, თუ თავიანთ თავისა და თავიანთ შვილებისათვის სიკეთე უნდათ. საუბარს საღამომდე მოუნდით.

საღამოთი სოფ. ტოლოშში ჩამოვედით, სადაც 80 კომლამდე მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველობა მოსახლეობს. აქვე ახლოს მდებარეობენ სოფ. ქუნცა და სოფ. როკეთი. ამ სოფლებშიაც ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობა სცხოვრობს. მეორე დღეს ქუნციდან და როკეთიდან ჩამოვიდნენ გლეხები და ტოლოშელებთან ერთად თავი მოიყარეს. მიტინგზე, როგორც ჩვეულებრივ, ვილაპარაკეთ დღევანდელ მომენტის მნიშვნელობაზე, დემოკრ. რესპუბლიკაზე და მერმე საქართველოს ავტონომიას შევეხეთ ვრცლად. ჩვენს მაჰმადიან ძმებსაც ძმური სიტყვა ვუთხარით და მოვაგონეთ მათი ისტორიული წარსული.—ჩვენც სწორედ ძმობა გვწადიან ქრისტიანებთანაო.

ქარაძენძა.

## სკოლების საქმე სოფლად

**ს. ზორი** (კიცხის საზოგადოება, ზემო იმერეთი). ეს სოფელი მდებარეობს დაბა ძირულიდან 5 ვერსის მანძილზე. მდებარეობა კარგი აქვს. სოფელი გაშენებულია სწორ, ვაკე ადგილზე. მცხოვრებთა რიცხვი 100 კომლამდეა, წოდების მიხედვით უმეტეს ნაწილს აზნაურობა შეადგენს. ეს სოფელი მდიდარია, როგორც ბუნებით ისე ნაყოფიერობის მხრითაც. აქაური მრავალრიცხოვანი ზვარები ღვინის კარგ მოსავალს იძლევა. ეს, რასაკვირველია, დიდ სიმდიდრეს შეადგენს. და მართლაც ეს სოფელი უფრო მდიდარ სოფლად უნდა ჩაითვალოს კიცხის საზოგადოებაში. მაგრამ, საუბედუროდ, გასაკვირი ის არის, რომ ამისთანა შეძლებულ სოფელს სასწავლებელი არა აქვს. მაგრამ ამ საჭირო საქმეზე არავინ ზრუნავს დღემდე. ხშირად, როცა აქაურ ხალხთან საუბარი მქონია ხოლმე სასწავლებლის საჭიროებაზე, მათ უპასუხნიათ, რომ ცოტანი ვართ და არ შეგვიძლიან სკოლის შენახვაო. ეს გასამართლებელი საბუთი არ არის ამისთანა შეძლებულ სოფლისათვის, მაგრამ რა ჰქნას შეუგნებელმა ელემენტმა, როცა მას წინამძღოლი არა ჰყავს. აქედან ხუთიოდე მოწაფე თუ დადის მახლობელ ზედა ილმის სკოლაში, დანარჩენები ღვთის ანაბარად რჩებიან უსწავლელნი. აქაური ინტელიგენციაც არ იბერტყავს ყურებს. გასაკვირველი არ არის, რომ სხვა კულტურული დაწესებულებაც არ მოიპოვება. აქაური მოძღვარი მღ. ვასილ გორგაძე ბევრს სცდილობდა, რომ ეს სოფელი შეეერთებინა მახლობელ პატარა სოფელ ზემო-ილემთან, რომელიც მარტო ერთ ვერსზეა დაცილებული, გაეერთიანებია და ორივე სოფლის შუა დაეარსებინათ სასწავლებელი, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, ვინაიდგან ამ საქმის მომხრენი ცოტანი გამოჩნდენ და სოფელი ისევ უსკოლო დარჩა.

ზემო-ილმელი.

## ჩვენი ფოსტა

ბ-ნ ნ. შუამთელს. თქვენი მისამართი შეგვატყობინეთ.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 5, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | საღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-6, | 11.18 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ბაზ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.24 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

## კახეთის რკინის გზა

საფოსტო მატარებლების მიმოსვლა I, II, III კლასის ვაგონებით.

(დრო ადგილობრივია)

თბილისიდან ყოველ დღე მიდის დილის 8 საათ.

გურჯაანის სადგურზე მოდის ნაშუადღევის 2 საათზე და 20 წ.

გურჯაანის სადგურიდან მიდის თელავისაკენ ნაშუად. 2 საათ. და 40 წ.

თელავში მოდის საღამოს 4 საათზე.

გურჯაანიდან მიდის წნორის-წყლის სადგურისკენ 3 საათ.

წნორის-წყლის სადგურზე მოდის საღამოს 4 საათ. და 10 წ.

თელავის სადგურიდან მოდის ყოველ დღე დილის 10 საათზე 15 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათ. და 35 წუთ.

წნორის-წყლის სადგურიდან მოდის გურჯაანისაკენ დილის 10 საათზე და 32 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათზე და 30 წ.

გურჯაანის სადგურიდან მოდის თბილისისაკენ ნაშუადღევის 12 საათზე.

თბილისის სადგურზე მოდის საღამოს 5 საათზე და 26 წ.

ექიმი
### ივანე ტიტუშკაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
### გ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლდის ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
### მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიენის ქუჩა, № 19.

დოქტორი მედიცინისა
ბერლ. კლინიკის ექიმი
### კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ტუბერკულოზ სნეულებათა ავადმყოფებს იღებს
ოლდის ქ. № 8.

ექიმი
### გ. ი. მარჩაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღეს გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბედლინსკის ქ. № 4. (ტ.—202—)

ექიმი ქალისა
### ე. ივ. გაბრიჩიძე-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
### გ. დ. ჭინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი
### გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა სეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
### ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლალიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი“



ხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და სავაჭრო სახლ. „ლ. მანდელბაუმ-შმიტ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, წვრილი მარილიანი, შავი „მალოსოლ“ ხიზილალა. მიყიდეთ საუკეთესო სალიანის შამაიებიც მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ლოქო და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ იაფად.